საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№87 (9767) 2024 წლის 25 ივლისი. ხუთშაბათი

ფასი 1 ლარი

3

ეს არასამთავრობოები ნაცმოძრაობასთან ერთად ჩაირეცხებიან

ამ ხალხს მესამე სექტორის არაფერი სცხია

ვინ არის კამალა ჰარისი?!

ცხოვრება ქალისა, რომელიც 2024 წელს ყურადღების ცენტრში იქნება

8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ქართულ სახელმწიფოს და სამეცნიერო საზოგადოებას პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეს ულოცავს

1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი კენედი დალასში ლი ჰარვი ოსვალდის ტყვიამ იმსხვერპლა

6

პრეზიდენტობა საშიშია თქვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის!..

ბებერი ევროპა ორბანს გადაეკიდა!

9

5

ახალი სიხარული და ძველი დარდი



7

PARiS 2024

ხვალ XXXIII ოლიმპიური თამაშები იწყება!

1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი



11

მათემატიკაში... დიდი ბრიტანეთიდან

ევროპა-ამერიკისგან უსამართლო და უხეირო ლანძღვას ჩვენი პრემიერი ოლიმპიური სიმშვიდით პასუხობს!

ამონარიდები გუშინდელი ბრიფინგიდან

...ერთი საერთო გვაქვს ჩვენ და დონალდ ტრამპს – ბოლო 30 წლის განმავლობაში ტრამპი იყო ერთადერთი ხელისუფალი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მმართველობის პირობებშიც ამერიკას არ ჰქონია ომი და „ქართული ოცნებაც“ არის ერთადერთი ხელისუფლება ბოლო 30 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც საქართველოს არ ჰქონია ომი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„რაც შეეხება იმას, რომ ქართული ოცნება 12 წელი ინარჩუნებს ხელისუფლებას და კიდევ 4 წელი გარანტირებულად შეინარჩუნებს და კიდევ მინიმუმ 8 წელი გვაქვს ამის ამბიცია, ამას მარტივი ახსნა აქვს – ჩვენ პრაქტიკულად არ გვაქვს ალტერნატივა და ქართველ საზოგადოებასაც არა აქვს ალტერნატივა. ერთადერთი ალტერნატივა, რასაც გვთავაზობენ გარედან, არის კოლეექტიური „ნაცმოძრაობა“. კოლეექტიური „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება ნიშნავს არა მხოლოდ იმის გამეორებას, რასაც ისინი 2004 წლიდან 2012 წლამდე აკეთებდნენ, არამედ ამის გაორმაგებულად გამეორებას. და ამაზე მათ ექნებათ მწვანე შუქი, მათ შორის გარედან იმ ძალებისგან, რომლებიც არაკეთილგანწყობილები არიან „ქართული ოცნების“ მიმართ...

* * *

ლონდონის სამიტზე მქონდა გასაუბრების საშუალება, 20-მდე პოლიტიკურ ლიდერთან, მათ შორის ბორელთან, მისგან საინტერესო მესიჯები მოვისმინე, ვნახე საერთო სურათი, რომელიც მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, - განაცხადა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

„მათ შორის ბორელთან მქონდა გასაუბრების საშუალება ყველაფერთან დაკავშირებით. საინტერესო საუბარი იყო, სხვათა შორის, მისგანაც საინტერესო მესიჯები მოვისმინე, რასაც ვერ გავახმოვანებ, გამომდინარე იქიდან, რომ კონფიდენციალურობა უნდა დავიცვათ. იყო არაერთი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, რომელთანაც მქონდა გასაუბრების საშუალება. გვერდით მეჯდა პრეზიდენტი მაკრონი, რომელთანაც ასევე მქონდა საუბრის საშუალება, გამოვიყენე ეს შესაძლებლობა.

მე ვნახე საერთო სურათი, რომელიც მაძლევს ოპტიმიზმისა და იმის თქმის საფუძველს, ეს გაუგებრობები იყო და არის დროებითი და როგორც კი დასრულდება ომი უკრაინაში, მაშინვე დასრულდება ეს გაუგებრობებიც. ამის თქმის საშუალებას მაძლევს მათ შორის, ის განწყობა, რომელიც დავინახე ამ სამიტზე ევროპელი ლიდერების მხრიდან“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ გაიხსნება თუ არა ოქტომბერში ევროკავშირში საქართველოს გაწევრების მოლაპარაკებები, ეს ევროკავშირის გადასაწყვეტია.

* * *

„მე მაქვს იმედი, რომ ქართველ ხალხს არ ეტყვიან უარს მოლაპარაკებების გახსნაზე. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ქართველი ხალხის მიმართ, ასე იყო კანდიდატის სტატუსი, ის ხომ ქართველ ხალხს მიანიჭეს და დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს არ ეტყვიან უარს მოლაპარაკების გახსნაზე. თუ სხვანაირად არ მოხდება, გამოდის, რომ ქართველი ხალხის მიმართ არის არასწორი დამოკიდებულება.

ზოგადად ხედავთ, რა ვითარებაა – არის სერიოზული უსამართლობა. მაგალითად, მოლდოვა დსთ-ს წევრი ქვეყანაა, ნული პოლიტიკური პლურალიზმი, ნული მედიაპლურალიზმი, სერიოზული პრობლემები დემოკრატიისა და კორუფციის კუთხით. ასეთ დროს მოლდოვას მოლაპარაკებები აქვს გახსნილი და ჩვენ – არა. ეს არის სრული უსამართლობა. ამ უსამართლობას ერთადერთი მიზეზი და ახსნა შეიძლება ჰქონდეს, ეს არის განსხვავებული ინტერესები. ამიტომ ვამბობ – როგორც კი შეიცვლება ინტერესები, მაშინვე შეიცვლება მიდგომები საქართველოს მიმართ და მაშინვე გაიხსნება მოლაპარაკებებიც“...

* * *

უხეირო არის თავად ის განცხადება, რომელშიც ეს სიტყვა იყო ნახსენები, – ასე გამოეხმაურა ირაკლი კობახიძე ამერიკის სენატში გაჟღერებულ განცხადებას, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს უხეირო დიქტატორი უწოდეს. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ურთიერთობების გადატვირთვაზე სწორედ ამერიკულმა მხარემ უნდა იზრუნოს.

„ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ არის ერთგვარი ისტერიკა კონკრეტულ ძალებში, რომლებსაც სურდათ საქართველოში მეორე ფრონტი, თუმცა ამას ვერ მიაღწიეს. ჩვენ ძალიან რთული პროცესები გამოვიარეთ. 2020 წლის შემოდგომიდან მოყოლებული იყო რევოლუციის 2 მცდელობა. გახსოვთ, რამდენი რამ გააფუჭა ამერიკის წინა ელჩმა, ევროკავშირის წინა ელჩთან ერთად. ამ პირობებში, თუ ვინმე უნდა ზრუნავდეს და თუ ვინმეს ხელეწიფება ურთიერთობების გადატვირთვა, ეს არის სწორედ მეორე მხარე - ამერიკის შეერთებული შტატები. ძალიან ბევრი რამ გაფუჭდა ამ 3-4 წლის განმავლობაში იმ უსამართლო და არასწორი მიდგომებით, რომლებიც ვიხილეთ. შესაბამისად, მათ ხელშია ურთიერთობების გადატვირთვა.

როდესაც ვხედავთ რევოლუციის მოწყობის ორ მცდელობას „ენჯეოების“ პირდაპირი მონაწილეობით და როცა ამ პირობებში აპროტესტებ „ენჯეოების“ გამჭვირვალობას, ბუნებრივია, ხდება ლოგიკური განცდა, რომ ვიღაცას უნდა „ენჯეოების“ ხელით რევოლუციის მესამე მცდელობა და ეს აღქმა არ უნდა დარჩეს ქართველ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, სწორი, სამართლიანი და პრაგმატული იქნებოდა, რომ ნაცვლად მუდმივი საუბრისა სხვა თემებზე, ურთიერთობების გადატვირთვაზე ვისაუბროთ“...

* * *

შალვა პაპუაშვილის განცხადება, სადაც პარლამენტის თავმჯდომარემ საფრანგეთის ელჩს უპასუხა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძე შეაფასა.

„შალვა პაპუაშვილმა განაცხადა სრული სიმართლე. ელჩმა თავის განცხადებაში პირდაპირ ახსენა საბიუჯეტო დახმარება, რომელიც საქართველოს საფრანგეთისგან არასოდეს მიუღია. ამის პასუხად რომ არასაბიუჯეტო დახმარებაზე ინფორმაციას აქვეყნებ, ეს არ არის სწორი. საბიუჯეტო დახმარება ხაზგასმით იყო ნახსენები ელჩის განცხადებაში. საბიუჯეტო დახმარება, რომელიც საქართველოს საფრანგეთიდან არასოდეს მიუღია. აქედან გამომდინარე, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება იყო აბსოლუტური სიმართლე“.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ელჩმა შერაზ გასრიმ განაცხადა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, დროებით შევაჩეროთ ჩვენი პირდაპირი დახმარება საქართველოს ბიუჯეტში და დახმარება გავუძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას“

სატირა(ლი) ამბები

მაინც გაცხადდნენ ტერორისტები

– ასე იყო 120 წლის წინათაც. ასე სწამებდნენ ცილს დღევანდელი ლიბერასტების იდეური წინაპრები – სოციალ-დემოკრატები იგივე არსით ტროცკისტები გაზეთებით, ბროშურებით, პროპაგანდით ილია ჭავჭავაძეს.

ილია და მისი საქმეები ხალხისთვის, რომ შეეძულებინათ, რას არ აბრალებდნენ საქართველოს უგვირგვინო მეფეს.

ზუსტად იგივეს სჩადიან იმათი მემკვიდრე დღევანდელი ნეოლიბერასტ-ნეოტროცკისტები, ნაცმედიის მეშვეობით დიდი მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

სამშობლოზე უანგაროდ მოფიქრალ და მოამაგე მამულიშვილს ნეოტროცკისტ-ლიბერალები „ბრალდებად“ უყენებენ:

საქართველოსათვის დამნაშავე რეჟიმის ქვეყნისათვის მოცილებას;

ადამიანების შიშის ფაქტორისაგან გათავისუფლებას;

საქართველოს და მისი მოსახლეობის ომის უბედურებებისაგან თავის არიდებას.

ცნობილია, როდესაც ტროცკისტ-ნეოტროცკისტები იდეურად ვერ აღწევენ მიზანს, მაშინ:

ფილიპე მახარაძეები, სერგო ორჯონიკიძეები, გვარამიები, მელიები, სააკაშვილები, ალასანიები (გახსოვთ ალბათ სააკაშვილის ბიძის საუბარი, როდესაც იძახდა მილიონს გადავიხდი, ვინც ივანიშვილს ესვრისო)... დაქირავებას ახდენენ ბერბიჭაშვილებისას და ავალებენ წიწამურის შესრულებას ან კიდევ მის განმეორებას!

მიუხედავად ნაცმედიების დიდი გულმოდგინეობით მალვისა, მაინც გაუღერდა, რომ ბიძინა ივანიშვილზე ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდნენ ნაცლიბერასტ-ნაცნეოტროცკისტების „დავერბოვკებულნი“!

რისთვისაც შესაძლო შემსრულებლებს დაწვრილებით ჰკითხავენ სამართალდამცველები!

რომლის შედეგებსაც მთელი საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის!“

ედიშერ გვენეტაძე

ხალხს ეზიზღება ყველაფრის მკადრებელნი!

რევოლუცია ვერ მოახდინეს, არჩევნებს მწარედ აგებენ, ხალხს ეზიზღება და ბოლო რაც დარჩათ, ტერორისტული აქტის მოწყობაა! ფაქტი, რომ რამდენიმე დღე მალავდნენ თუ რა დანაშაულის ჩადენაზე იყვნენ საგამოძიებო და სასამართლო სტრუქტურებში გამოკითხვაზე, პირადად ჩემთვის ყველაფრის მთქმელია და კითხვებიც არ მიჩნდება! მით უმეტეს, ამათ მონა ტელევიზიების დუმილიც ბევრის მთქმელია!!! ერთიან ნაციონალურ ტერორისტულ მოძრაობას ბევრი ქართველის სისხლი აქვთ დაღვრილი, ავადმყოფი მანიაკებისგან დაკომპლექტებული სინდიკატია, თავში არ მოუვათ კაცის მოკვლა, თუ გაუჭირდებათ? ესენი არიან ჩვენი სამშობლოს ხორცმეტები! არჩევნების შემდეგ ნაცრეჟიმი გასამართლებას ვერ ასცდება! ის დანაშაულებიც სააშკარაოზეა გამოსატანი, ვისი დავალებით გახვიეს ქვეყანა ომში და ახლაც ყველაფერს აკეთებენ, რომ თბილისის ციდან ბომბები ცვიოდეს! 9 წელიც რომ დავივიწყოთ, იმდენი ცოდვა და სიმყრალე ჩაიდინეს ბოლო 2 წლის განმავლობაში, მარტო ამისთვის გაფარჩაკდებიან არჩევნებზე! ბიძინა ივანიშვილს, ერისკაცს, ესენი ვერაფერს დააკლებენ, ხალხია მისი და “ქართული ოცნების” გვერდით! აფეთქება? თქვენი მეტიკტოკე ბოევიკობა არ გაიშვას, სააკაშვილის ქაფი ხართ, სხვისი ქვეყნის აგენტურა! დაგდებთ ბეჭებზე 26 ოქტომბერს!

დიმიტრი სამხარაძე.

ეს არასამთავრობოები ნაცმოძრაობასთან ერთად ჩაირეცხებიან

ამ ხალხს მესამე სექტორის არაფერი სცხია

ჩაერთნენ თუ არა ღიად არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიაში? — რა საკითხებზე მსჯელობდნენ აჭარაში NGO სექტორის წარმომადგენლები „ლელოს“ წევრთან ერთად?

მმართველი გუნდისთვის ეს ფაქტი იმის უტყუარი დასტურია, რომ დონორების მიერ გამოყოფილი ტრანშები ქვეყანაში არამიზნობრივად იხარჯება. კანონმდებლების თქმით, მილიონობით ლარი, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ნაცვლად, ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას ხმარდება, მიზანი კი ერთია – ნებისმიერი გზით, ხელისუფლების ხელში ჩაგდება. სახელისუფლებო გუნდი, მსგავსი ქმედებების მიღმა, არჩევნების პროცესში უხეში ჩარევის მცდელობას ხედავს.

23 ივლისს აჭარის რეგიონში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ეგიდით გამართული შეხვედრა, პრემიერ-მინისტრისთვის, მესამე სექტორის პოლიტიზებულების მორიგი, უტყუარი მტკიცებულებაა. საუბარია ბათუმში მოწყობილ პანელურ დისკუსიაზე, რომელსაც, არასამთავრობოებთან ერთად, ყოფილი სახალხო დამცველი და პარტია „ლელოს“ წარმომადგენელიც ესწრებოდნენ, მთავარი განსახილველი თემა კი გამჭვირვალობის კანონი, არჩევნები და ხელისუფლების ცვლილების გზები იყო.

მთავრობის მეთაურის თქმით, ოპოზიციასა და არასამთავრობოებს შორის წაშლილი ზღვარი ადასტურებს, რომ ქართულ პოლიტიკაში ე.წ. შავი ფული ტრიალებს, რაც კანონის ამოქმედების შემდეგ, საზოგადოებისთვის ნათელი გახდება.

„ლელოში“ არ უარყოფენ, რომ გიორგი უშიკიშვილმა, ამ ფორმით, წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა. ამბობენ იმასაც, რომ საზოგადოებისთვის პოლიტიკურად ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად მსგავსი დისკუსიები აუცილებელია.

მმართველ პარტიაში კი კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ იყო აუცილებელი და საჭირო, რათა მსგავსი სახის ქმედებებს მოეფინოს ნათელი.

„ლომჯარიები და გიგაურები, ვითომ არასამთავრობო და „ნეიტრალურები“, შეხვედრას აწყობენ ადგილობრივებთან და მიწვეული ჰყავთ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ალაპარაკებთ ჩვენს ლიდერებზე, ალანძღვინებთ ჩვენს პოლიტიკას და წინასაარჩევნოდ რაღაც დაპირებებსაც კი მოვპარი ყური – ეს არის მიუღებელი, ეს არის უხეშად ჩარევა. ამიტომაც იყო აუცილებელი, რომ მიგვეღო ეს ქართული კანონი გამჭვირვალობის შესახებ, რითიც ყველას ჩამოვხსნით ნიღაბს“, – აცხადებს **ირაკლი ზარქუა.**

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** ამბობს, რომ ეს ადამიანები ჩვეულებრივი პოლიტიკური სუბიექტები არიან და ამის ღია ლუსტრაცია ხდება. ქადაგიძე მიიჩნევს, რომ არანაირი შემხებლობა ამ ხალხს არასამთავრობო სექტორთან არ აქვთ.

„ესენი არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ რადიკალიზმს ასაზრდოებდნენ და ახლა წინასაარჩევნო პროცესებში ღიად არიან ჩართულები. პირდაპირ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან იმის, რომ ეს ხელისუფლება უნდა გაუშვან. ამ ხალხმა ყველანაირი ნიღაბი ჩამოიხსნა. თუკი აქამდე საუბრობდნენ, რომ ვითომ ნეიტრალური არბიტრის როლში იყვნენ და დამკვირვებლები არიან, ახლა არაფრის დამალვაც აღარ უნდათ. ეს კი მათი ბოლო გაფართხალებაა.

რეალურად, მათი დღის წესრიგით მოქმედებენ. არაფერი არ ხდება, უბრალოდ კიდევ ერთხელ, ნათლად წარმოჩინდა ის, რომ საქართველოში გამჭვირვალობის კანონპროექტის შემუშავება აუცილებელი იყო, რომ ამ ხალხის რეალური სახე საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა. რეალურად, ესენი ხარჯავენ დონორების მიერ გამოყოფილ ფულს მხოლოდ ერთი მიმართულებით, რომ ქვეყანაში გადატრიალება მოაწყონ. ამათი სახე უკვე ხალხმა დაინახა და ვერავის ვერაფერს ვეღარ მოატყუებენ“...

იმ რაღაცა მოცემულობაში, რასაც კოლექტიური ნაცმოძრაობა ჰქვია, ამ არჩევნებზე ესენიც მათთან ერთად ჩაირეცხებიან. ამ ხალხს ანტისამთავრობო მოძრაობა აქვთ გაჩაღებული და მესამე სექტორის არაფერი ამათ არ სცხიათ.

მისივე თქმით, „თავისუფლების მოედანი“, რომელიც ენჯეო სექტორებისგან არის დაკომპლექტებული, სწორედ ამ აბსურდის ნათელი მაგალითია. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ეს ე.წ. მდიდარი ენჯეოები ორ ნაწილად გაიყვნენ, ერთი მათგანი ცდილობს როგორც პოლიტიკური სუბიექტი, ისე იბრძოლონ, ხოლო მეორე მათგანი კი მესამე სექტორის სახელით ეხმარება. თუმცა ანალიტიკოსი ამბობს, რომ ორივე მათგანი რეალურად, პოლიტიკური სუბიექტები არიან, რომლებიც რადიკალური ნაცოპოზიციის სახეს წარმოადგენენ.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი ამბობს, რომ მესამე სექტორის ნაწილი, რომლებიც ე.წ. მდიდარ ფლანგს წარმოადგენენ, ისინი ცნობილი დეზინფორმატორები და მანიპულატორები არიან. აბაშიძე ამბობს, რომ გიგაური, ლომჯარია, ორგანიზაცია „ისფედი“ და სხვები დიდი ხანია, ხელისუფლებასთან პირდაპირ ღია დაპირისპირებაში იმყოფებიან.

„ეს ხალხი რევანშისტული ძალის მესიჯების გახმოვანებაში უკვე დიდი ხანია, ცნობილები არიან. ეს ახალი ნამდვილად არ არის და მათ ამგვარი აქტივობა წლების განმავლობაში პარლამენტის წინ ჰქონდათ, როცა თავად ეკა გიგაური, საჯაროდ, მთავრობის ჩამოგდებას მოითხოვდა. იქიდან გამომდინარე, რომ პროტესტის მუხტი დაეცა, ახლა გადაწყვიტეს, რეგიონებში გავიდნენ. მმართველ პარტიას ჰქონდა საფუძვლიანი შენიშვნა და წუხილი იმაზე, რომ ამგვარი შეხვედრები უცხოელი დონორების მხრიდან ფინანსდება.

ეს შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში გამართლებული იყოს, მაგრამ პოლიტიკოსების შემთხვევაში ეს გაუმართლებელია. რაც შეეხება გზავნილებს, რომელსაც გიგაური, ლომჯარია და სხვები რეგიონებში აყოერებენ და თავადაც ხვდებიან, რომ ამით საზოგადოება ღიზიანდება, მიუთითებს იმაზე, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობის დესტრუქციული გზავნილების ვადა გასულია. ამ ხელისუფლების ე.წ. პრორუსულობას ხალხს ვეღარ აჯერებენ და აპოკალიპტური სურათის დახატვით ხალხის გულს ვერ იგებენ. ყველამ გაიგო, რაც და ვინც არიან. მობეზრდა ხალხს ამათი დესტრუქციული ნარატივი. შესათავაზებელი ხალხისთვის არაფერი აქვთ და მხოლოდ ნეგატივზე არიან ორიენტირებული. ამიტომაც, იარონ და რაც უნდა ის ილაპარაკონ, მაგათ მაინც არავინ არ უსმენს“, – ამბობს აბაშიძე.

მოამზადა

ლიკა ბერიკაშვილმა



ტრამპის ინაუგურაციაზე დემოკრატიის „შუქურა“ მიჩა ახლოს არ მიუშვეს, სადღაც ბუჩქებში იდგა!..

ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲓ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ „ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ“

„ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ“, – ამ სიტყვებით გაიდენმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და გზა გაუხსნა ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს. სავარაუდოდ, სწორედ კამალა ჰარისი ცდის არჩევნებში გედს.

ამასობაში „ნაცმოძრაობა“ ტრამპის მზის ქვეშ ადგილის მონიშვნას ცდილობს. მათ იგრძნეს, რომ ტრამპის გამარჯვება მოახლოებულია და ერთი-მეორის მიყოლებით უმტკიცებენ ქარიზმატულ დონალდს ერთგულებას.

სწორედ ამით აიხსნება სააკაშვილის სენტიმენტები ტრამპის მიმართ და შეხსენება მისთვის, რომ ოდესღაც ტრამპი მას „საუკეთესო პრეზიდენტს“ უწოდებდა, სამაგიეროდ, იმ დროს თურმე ივანიშვილის ჯგუფი ტრამპს „საერთაშორისო აფერისტს“ ეძახდა.

ტრამპის სიმპათიის მოსაპოვებლად ნაცებმა თინა ბოკუჩავა აფრინეს ამერიკაში „რესპუბლიკური პარტიის“ კონგრესზე, სადაც საპრეზიდენტო კანდიდატად ტრამპის წარდგენა მიმდინარეობდა. ბოკუჩავა თურმე უზომოდ მოხიბლულა რესპუბლიკელების კანდიდატის ნათქვამით, რომელმაც ისაუბრა აგვისტოს ომის დროს საქართველოში პუტინის შეჭრასთან დაკავშირებით და თქვა, რომ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მკაცრი პოლიტიკა ექნება რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, საქმე დასწრეებაზეა, ვინ უფრო შეძლებს ტრამპთან მიახლოებას – „ქართული ოცნება“ თუ ნაცები. სამაგიეროდ, ტრამპი, ალბათ, რუპაზეც ვერ იპოვის საქართველოს, როგორც ამას თავის დროზე „ენდიაი საქართველოს“ ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი ამბობდა.

ვისთან ურთიერთობა უფრო აინტერესებს ტრამპის ადმინისტრაციას – „ქართულ ოცნებასთან“ თუ ნაცებთან?

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** აცხადებს, რომ გაიდენის ადმინისტრაცია არასწორად მოქმედებდა. ამ ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა, სამწუხაროდ, პირდაპირ ჩაიხუტეს გულში სააკაშვილის ნაცები, გამოხატეს მათთან მეგობრობა.

„მე არ დამავიწყდება აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიქტორია ნულანდის ქმედება. ეს ის ქალბატონია, რომელმაც თავის დროზე კიევში დაარიგა ნამცხვრები, თუ ორცხობილები, ხოლო შემდეგ სატელეფონო საუბრით კარნახობდა ამერიკის ელჩს სცენარს, რომ კლიჩკო მომავალ ხელისუფლებაში წარდგენილი არ უნდა იყოსო და ამას მოჰყვა პასუხად გინება, ანუ ამ ქალბატონმა ევროკავშირი უხამსი სიტყვებით მოიხსენია უკრაინასთან მიმართებით. ცხადია, ეს სკანდალი იყო და ეს ქალბატონი როდესაც დაბრუნდა მაღალ თანამდებობაზე, პირდაპირ ეუბნებოდა ქართველ დიპლომატებს, თქვენ უნდა იცოდეთ და გაითვალისწინოთ, რომ მიშა სააკაშვილი ჩემი მეგობარია! ეს გამაოგნებელი იყო, რადგან პირადად სააკაშვილის და მისი რეჟიმის დანაშაულზე იმდენი დაიწერა დოკუმენტებზე დაყრდნობით, მათ შორის, შეერთებულ შტატებში, ავტორიტეტულ გამოცემებში, რომ ისმის კითხვა, თუკი ვიქტორია ნულანდი სააკაშვილის მეგობარია, მაშინ თვითონ რაღას წარმოადგენს?! ეს ურთიერთობა გაგრძელდა, ჩვენ ვიცით ამ ურთიერთობის შედეგები და მე აღარ მიკვირდა, როცა გამოდიოდა თეთრი სახლის სპიკერი და შეკითხვის საპასუხოდ,



„კი, მაგრამ, შეერთებულ შტატებს ხომ აქვს უცხოური აგენტების შესახებ კანონი, რომელიც საქართველოს კანონთან შედარებით გაცილებით მკაცრია“, ყბადაღებულ სიცრუეს ამბობდა, „ნურას უკაცრავად, ჩვენი კანონი მხოლოდ მტრული მთავრობების წინააღმდეგაა“. ამ დროს გიული ალასანიამ რომ 920 ათასი დოლარი გადაუხადა ლობისტურ კომპანიას და, ამ კანონის შესაბამისად, შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს საიტზე დაიდო ეს ინფორმაცია, გამოდის, რომ გიული ალასანია მტრული მთავრობის წარმომადგენელი ყოფილა?! მოკლედ, გაიდენის ადმინისტრაცია არასწორად იქცეოდა ჩვენთან მიმართებით“, – დასძინა პეტრე მამრაძემ.

მისივე განმარტებით, დღეს უკვე ვითარება შეიცვალა. ტრამპზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ამერიკის ანალიტიკური გამოცემები სავსეა ინფორმაციით, რომ ბევრად გაიზარდა ტრამპის გამარჯვების შანსები, რომელიც ისედაც მაღალი იყო. მით უმეტეს, იმ დებატების შემდეგ ხომ ისედაც წერდნენ და წერდნენ, რომ ტრამპის შანსი გაცილებით მაღლა იყო და გაიდენისთვის დებატები ფატალური აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც გაიდენმა ზელენსკის უწოდა პუტინი, თავის ვიცე-პრეზიდენტს უწოდა დონალდ ტრამპის სახელი, უკვე ანეკდოტური ვითარება შეიქმნა და ბუნებრივი პროცესია, რაც ახლა ხდება, როცა გაიდენი მიდის და ჩვენი ნაცები ტრამპთან ცდილობენ დაახლოებას.

პეტრე მამრაძე ამბობს, რომ ზელენსკიც ესაუბრა ტელეფონით ტრამპს, ანუ გრძნობენ მსოფლიოში მოქმედი პოლიტიკოსები, რომ ალბათობა დიდია, ტრამპი ისევ მოვიდეს ხელისუფლებაში და ცდილობენ, დროზე დაამყარონ მასთან ურთიერთობა. ამის გამო ვერ ვუსაყვედურებთ პოლიტიკოსებს, მთელ მსოფლიოში ასე იქცევიან.

„ამიტომაც გააქტიურდა სააკაშვილი და ირწმუნება, თურმე ტრამპის მეგობარია, ჩამოიყვანა თავის დროზე ტრამპი ბათუმში და რაღაცის აშენება შესთავაზა, სამაგიეროდ, უკვე შემდგომ პერიოდში, პრეზიდენტობის საკარძელს დამშვიდობებული სააკაშვილი როცა ჩავიდა ტრამპის ინაუგურაციაზე, ტრამპთან ახლოს არ მიუშვეს. სამარცხვინო კადრები გავრცელდა იმ დროს, სადღაც შორს, ბუჩქებში დგას სააკაშვილი და არავის აინტერესებს მისი იქ ყოფნა. ახლა კი ისევ გაითამაშებენ როლს, თითქოს სააკაშვილი ტრამპის მეგობარია. რაც შეეხება ტრამპის განცხადებას, რომ შეწყვეტს ომს უკრაინაში და ამას გააკეთებს ძალიან მარტივად, ამის შესახებ ამერიკელმა ანალიტიკოსებმა დაწერეს, თუ როგორ განახორციელებს ტრამპი სამშვიდობო გეგმას. ეს ძალიან მარტივად მოხდება. ტრამპი ამბობს, ზელენსკის ვეტყვი, რომ ამერიკა აღარ დაეხმარება მას არც იარაღით, არც ფულით და საერთოდ შეწყვეტს დახმარებას, თუკი ზელენსკი კრემლთან მოლაპარაკებას არ დათანხმდება. ხოლო ტრამპი პუტინს ეტყვის, თუ ისიც არ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან და არ გამონახავს საერთო ენას უკრაინასთან, მაშინ ბევრად გააძლიერებს უკრაინის დახმარებას და პუტინისთვის ეს იქნება დასასრული“, – ამბობს პეტრე მამრაძე.

თვითონ ტრამპს ვინ უფრო ესიმპათიურება – „ქართული ოცნება“ თუ ნაცები? ამის შესახებ ანალიტიკოსი განმარტავს, რომ არავითარი სიმპათიები ტრამპს არ აქვს. ტრამპმა შეიძლება რუკაზე ზუსტად ვერ აჩვენოს საქართველოს მდებარეობა და ისიც გამორიცხულია, სიმპათიები ჰქონდეს ვინმეს მიმართ საქართველოში, მაგრამ ვინც მას აღიარებს და იტყვის, რომ ის არის დიდი მოღვაწე, რომელიც ასრულებს თავის პირობას - ამერიკა ისევ დიადი გახადოს, ეს ტრამპისთვის მისაღები იქნება.

ამიტომ პეტრე მამრაძეს არ უკვირს, რომ ნაცებმა ამერიკაში მიავლინეს „ენდიაის“ მიერ გაზრდილი ბოკუჩავა, რომელიც „ენდიაის“ ინსტიტუტში მუშაობდა და შემდეგ უკვე პირდაპირ „ენდიაის“ მერხიდან მიიღო მაღალი თანამდებობა ხელისუფლებაში, რამაც, სხვათა შორის, აღაშფოთა „ენდიაის“ ხელმძღვანელები ამერიკაში.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების ინდექსით მსოფლიოს საუკეთესო 50 ქვეყანას შორის ვართ!

გლობალური დემოკრატიის საერთაშორისო შემფასებელმა ორგანიზაციამ „დემოკრატიის მრავალფეროვნება“ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა. კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველომ შეფასების 4-ბალიანი სისტემით 3,5 ქულა დაიმსახურა და მსოფლიოში 50-ე ადგილზე გავიდა, – ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, 2012 წლის შემდეგ შეფასების გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია, ევროპაში კი პირველ ადგილზეა. საქართველოს 2012 წელს შეკრების თავისუფლების მიხედვით ევროპის ყველაზე საშიში ქვეყნების სამეულში იყო რუსეთთან და ბელარუსთან ერთად და მსოფლიოში 99-ე პოზიცია ეკავა, შემდგომ 11-წლიან პერიოდში კი საქართველო მსოფლიო რეიტინგში 49 ადგილით დაწინაურდა.

საქართველო მინიჭებული ინდექსის მიხედვით უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ლატვია, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, თურქეთი და ა.შ.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების ინდექსის მიხედვით ისტორიულად ყველაზე მაღალი შეფასებები საქართველომ წელს და შარშან გამოქვეყნებულ ინდექსში მიიღო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ქართულ სახელმწიფოს და სამეცნიერო საზოგადოებას პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეს ულოცავს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე ქართულ სახელმწიფოს და სამეცნიერო საზოგადოებას პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეს ულოცავს და ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებს.

თავის მიმართვაში რექტორი ყურადღებას აღნიშნული მოვლენის უდიდეს სამეცნიერო მნიშვნელობაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ 25 წლის წინ, ღია კოსმოსში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის — გასაშლელი რეფლექტორის გასვლით, ქართული საინჟინრო მეცნიერების ისტორიაში ახალ ეპოქას მიეცა დასაბამი.

„დღეს ქართული სამეცნიერო საზოგადოება და ჩვენი ქვეყანა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსში გასვლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. 25 წლის წინ, 1999 წლის 23 ივლისს, დამოუკიდებელი საქართველო და მსოფლიო საზოგადოება უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და ისტორიული ფაქტის მომსწრე გახდა – ქართველთა მიერ ხელთქმნილმა პირველმა კოსმოსურმა საინჟინრო ნაგებობამ, დიდგაბარიტიანმა გასაშლელმა რეფლექტორმა წარმატებით გაიარა გამოცდა, გასცდა დედამიწას და უკიდეგანო კოსმოსში, დამოუკიდებელ ორბიტაზე დაიწყო ფრენა. მას შემდეგ, ყოველ 23 ივლისს, ეს ღირსშესანიშნავი დღე აღინიშნება. ამ მოვლენით საქართველოს ისტორიაში დასაბამი მიეცა დროის ათვლის კიდევ ერთი საწყისს.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღეს, უპირველეს ყოვლისა, ვულოცავ ამ ლეგენდარული კოსმოსური ნაგებობის გენერალურ კონსტრუქტორს, გენერალ-მაიორს, აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილს, ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობდა კოსმოსური ობიექტის შექმნაზე და მთელ ქართველ საზოგადოებას!

გვეამაყება, რომ ეს დღე დაკავშირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინრებისა და მეცნიერების მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპთან – სწორედ ჩვენმა მეცნიერებმა ჩაუყარეს საფუძველი დიდგაბარიტიანი რეფლექტორის კოსმოსში გაშვების ისტორიას; მეტიც, გასაშლელი რეფლექტორი დაპროექტდა, დამზადდა და წინასაფრენოსნოდ გამოიცადა საქართველოში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ, ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენით კოსმოსური ობიექტის ავტორებმა საქართველოს დამსახურებულად დაუმკვიდრეს საპატიო ადგილი კოსმოსურ ქვეყნებს შორის.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნისა და ღია კოსმოსში ნაოსნობის ფაქტი სხვამხრივაც მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, რადგან ამ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა კოსმოსური ნაგებობებისა და სამხედრო-საინჟინრო დარგების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას, მისი დაფუძნება კი შესაძლებელი გახდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჩვენი სამეცნიერო, საინჟინრო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პოტენციალის ერთობლივი, სისტემური და ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგად.

საზოგადოების საყურადღებოდ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაშვება კოსმონავტიკის ისტორიასა და სამეცნიერო გამოცემებში აღიარებულია პრიორიტეტული მიმართულების საწყისად კოსმოსურ ტექნოლოგიებში; აკადემიკოს, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი პირველი ქართული დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორის ორბიტაზე გაყვანისა და წარმატებული გამოცდის თარიღი კი, როგორც მოვლენა, შეტანილია კოსმოსის ათვისების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში. ორმაგად საამაყოა, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან 25 წლის შემდეგაც, ევროპული კოსმოსური სააგენტოს (**ESA**) წევრი სახელმწიფოებისთვის, ჯერჯერობით, მიუღწეველია დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორის კოსმოსში გაყვანა და წარმატებული გაშლა.

25 წლის წინ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაწყებული მასშტაბური ექსპერიმენტის – „რეფლექტორის“ ისტორია დღესაც წარმატებით გრძელდება. აკადემიკოსი ელგუჯა მეძმარიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინრებთან და მეცნიერ-მკვლევრებთან ერთად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ქმედითი მხარდაჭერით, დღესაც წარმატებით აგრძელებს კოსმოსურ ნაგებობებსა და სამხედრო-საინჟინრო კონსტრუქციებზე მუშაობას. ამერიკულ კომპანია **EOS DATA ANALITIKS, INC**-თან პარტნიორობის ფარგლებში, მიმდინარეობს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები კოსმოსური რეფლექტორების და სხვა კოსმოსური ობიექტების პროექტირება-შექმნის მიმართულებით. ამ სამუშაოებისთვის სასტენდო კომპლექსი უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სივრცეში, სამეცნიერო-სასწავლო და საწარმოო ცენტრ „ანალიზხელსაწყოში“. სხვადასხვა დროს შესრულდა სამეცნიერო-საინჟინრო სამუშაოები, მათ შორის, გერმანულ კომპანია **Daimler Benz Aerospace**-თან და იტალიურ **Alenia Aerospacio**-თან პარტნიორობით, ასევე, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორობით, შესრულდა ევროპული კოსმოსური სააგენტოს შეკვეთები გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის სხვადასხვა ვარიანტის შესაქმნელად. ყველა ეს სამუშაო არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქართველ ინჟინერ-მეცნიერთა მიერ წარმატებისკენ გადადგმული მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და გარანტი იმისა, რომ კოსმოსის ათვისების მიმართულებით, საქართველო აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს კიდევ ერთხელ ვულოცავთ აკადემიკოსს, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილს, ვულოცავთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მის საინჟინრო-სამეცნიერო წრეებს, ვულოცავთ მთელ საქართველოს“, – **აღნიშნულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის მიმართვაში.**

სსტუ-ის ინფორმაციით, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გაშლისა და გამოცდის ამსახველი ფოტოკადრები გადაღებულია ფრანგი ასტრონავტის ჟან-პიერ ენიერეს მიერ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუბუა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გიორგი ამილახვართან ერთად, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) ახლად დანიშნულ რექტორს გიორგი ხუბუას შეხვდა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო გეგმებს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით.

პრემიერმა უნივერსიტეტის ახალ რექტორს წარმატებები უსურვა და მთავრობის სახელით მხარდაჭერა აღუთქვა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას აკადემიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა პერიოდში იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერ-თანამშრომელი, არის 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი.

საქველმოქმედო მეგაპროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა ბიძინა ივანიშვილსა და მის ოჯახს ეკუთვნის. საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ უნივერსიტეტის განვითარებაში ფილანტროპიის სახით ერთ მილიარდ ევროზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს.

KIU-ში, რომელმაც სტუდენტების პირველი ნაკადი 2020 წლის შემოდგომაზე მიიღო, დღეისათვის 1200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. **KIU** თანამშრომლობს ევროპის წამყვან მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (**TUM International GmbH-Tan da TUM**-თან) და მისი საპატიო პრეზიდენტია **TUM**-ის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი.

პრეზიდენტობა საშიშია თქვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის!..

და, რაც მთავარია, თქვენი რეპუტაციისთვის

განგების ნებით (და ტერორისტის გამოუცდელობით), დონალდ ტრამპი სიკვდილს გადაურჩა...

მოაზროვნე კაცობრიობა კიდევ ერთხელ უკიდურესად ააფორიაქა ტერორისტულმა თავდასხმამ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ და, დიდი ალბათობით, მომავალ პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე.

განგების ნებით (და ტერორისტის გამოუცდელობით), გატონი ტრამპი სიკვდილს გადაურჩა – ტყვიამ მხოლოდ ყურის ბიბილო დაუზიანა. მისალოცი ამბავია, თუმცა დიდი ვერაფერი შეღავათია – კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ მსოფლიოს თვით უდიდეს და უდემოკრატიულეს ქვეყანაში პოლიტიკურ არჩევანს განსაზღვრავს არა მისი უდიდებულესობა ამომრჩეველი, არამედ დღემდე უცნობი, ბნელით მოცული ძალა.

სამწუხაროდ, ეს არ გახლავთ პირველი და, რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს, ალბათ არც უკანასკნელი თავდასხმა აშშ-ის პირველ ან პირველობის მაძიებელ პოლიტიკოსზე. მოდი, თუ არ დაგეზარებათ, ისტორიას გადავხედოთ.

მაშ ასე:

აბრაამ ლინკოლნი (**Abraham Linkoln,** 1809-1865 წ. წ.), ამერიკის შეერთებული შტატების მეთექვსმეტე პრეზიდენტი; თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით, ნიჭითა და უნიკალური პიროვნული თვისებებით ცნობილი პერსონა. 1865 წლის 14 აპრილს ვაშინგტონის ფორდის თეატრში სპექტაკლის („ჩვენი ამერიკელი დეიდაშვილი“) ყურებისას სასიკვდილოდ დაჭრა იმ პერიოდისთვის პოპულარულმა მსახიობმა ჯონ უილკის ბუტმა. როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, მკვლელი ე. წ. „სამხრეთელების“, ანუ აშშ-ში მონათმფლობელობის აღდგენა-შენარჩუნების მხარდამჭერი გახლდათ. არ დაივიწყოთ – ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის უპირველეს პოლიტიკოსს კლავენ მონობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ეს ხდება 1865 წელს!

ჯეიმს აბრამ გარფილდი (**James Abram Garfield,** 1831-1881 წ. წ.), ამერიკის შეერთებული შტატების მეოცე პრეზიდენტი, ამერიკული არმიის გენერალი. პრეზიდენტად არჩევიდან ოთხიოდე თვის შემდეგ სასიკვდილოდ დაჭრა ვინმე შარლ გიტომ, რომელიც თურმე უკმაყოფილო იყო ფედერალური თანამდებობის მიუღებლობის გამო. პრეზიდენტის მკვლელობისთვის ცოტა უცნაური საბაბია, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ – ასეთია ოფიციალური ვერსია.

უილიამ მაკ-კინლი (**Wiliam McKinlei,** 1843-1901 წ. წ.), 1900 წელს მეორე ვადით არჩეული ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეხუთე პრეზიდენტი. იგი გახლდათ აშშ-ეს-პანეთის ომის ინიციატორი და ესპანეთის კოლონიებზე (ფილიპინები, პუერტო-რიკო, გუამი) აშშ-ის კონტროლის დამყარების, ცოტა უფრო არადიპლომატიურად რომ ვთქვა, ამ ქვეყნების დაპყრობის მამამთავარი. მასვე ეკუთვნის დაფნის გვირგვინი ჰავაის კუნძულების ანექსიისთვისაც. 1901 წლის 6 სექტემბერს პრეზიდენტი მაკ-კინლი სასიკვდილოდ დაჭრა პოლონური წარმოშობის ამერიკელმა ანარქისტმა ლეონ ფრანკ ჩოლგოშმა. 28 წლის მკვლელმა სასამართლოზე განაცხადა, რომ არ ინანიებდა დანაშაულს, რადგან „პრეზიდენტი მაკ-კინლი კარგი ადამიანების, მშრომელი ხალხის მტერი იყო“. დამეთანხმებით, ცოტა უცნაური მოტივია პრეზიდენტის მკვლელობისთვის, მაგრამ ამერიკულმა გამოძიებამ და სასამართლომ დანაშაულის სხვა მიზეზები ოფიციალურად ვერ დაადგინა.

1865 წლის 14 აპრილს თეატრში სპექტაკლის ყურებისას ლინკოლნი სასიკვდილოდ დაჭრა მსახიობმა ჯონ უილკის ბუტმა.

გარფილდი პრეზიდენტად არჩევიდან ოთხიოდე თვის შემდეგ სასიკვდილოდ დაჭრა ვინმე შარლ გიტომ.

ჯონ ფიცჯერალდ „ჯეკ“ კენედი (**Jon Fitzjerald „Jek“ Kennedy,** 1917-1963 წ. წ.), აშშ-ის 35-ე და ალბათ ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი ისტორიაში. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მამაცი მეომარი, აშშ-ის საზღვაო ფლოტის ლეიტენანტი, ყველა ჟურნალისტისთვის დღესაც სანატრელი პულიცერის პრემიის ლაურეატი სტატიების კრებულისთვის „სიმამაცის მაგალითები“; ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში. ბევრ სხვა რამესთან ერთად, მის სახელს უკავშირდება ე. წ. „კუბის კრიზისის“ მშვიდობიანად მოგვარება, ანუ კიდევ ერთი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. არ არის გამორიცხული, რომ კენედის სწორედ ეს ძალისხმევა იქცა მისი მკვლელობის მთავარ მიზეზად.

საქმე ის არის, რომ სამოციანების დასაწყისში საბჭოთა კავშირი უკვე აკონტროლებდა ფიდელ კასტროს კუბას და მთლიანად კარიბის ზღვის ზონას. ეს ფაქტი ძალიან აღიზიანებდა აშშ-ს, რომელმაც საბჭოთა კავშირის დასაშინებლად იტალიასა და თურქეთში ათეულობით ატომური ქობინი განალაგა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა ნიკიტა ხრუშჩოვის, ექსცენტრული და უპროგნოზო საბჭოთა ბელადის, საპასუხო რეაქცია – ატომური იარაღის განლაგება კარიბის ზონაში. ბირთვული ახალი მსოფლიო ომი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჯონ კენედიმ უკან დახევა, ხრუშჩოვთან მოლაპარაკება და, შესაბამისად, კატასტროფის თავიდან აცილება მოახერხა.

1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი კენედი და მისი მეუღლე ჟაკლინი ტეხასის შტატის დედაქალაქ დალასს ესტუმრნენ. ისინი ღია ლიმუზინის უკანა სავარძელზე ისხდნენ. წინა სავარძელზე – შტატის გუბერნატორი ჯონ კონელი და მისი მეუღლე ნელი. ესკორტი ჰიუსტონ სტრიტზე შევიდა და სკოლის ბიბლიოთეკას გაუსწორდა. სწორედ მაშინ გაისმა სროლის ხმა - მკვლელის ტყვიამ იმსხვერპლა პრეზიდენტის სიცოცხლე. მძიმედ დაიჭრა გუბერნატორი ჯონ კონელი.

პოლიციამ მკვლელი მალე დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა 1939 წელს დაბადებული ნიუ ორლეანელი ლი ჰარვი ოსვალდი. სხვათა შორის, 1958-1962 წლებში ოსვალდი საბჭოთა კავშირში, მოსკოვსა და მინსკში ცხოვრობდა. საბჭოთა მოქალაქეობაც მოითხოვა, მაგრამ სპეცსამსახურებმა იგი აშშ-ის აგენტად მიიჩნიეს და უარით გაისტუმრეს. აქვე გაიცნო სტუდენტი მარინა პრუსაკოვა, რომელიც ცოლად შეირთო და 1962 წელს მასთან და პატარა ქალიშვილთან ერთად ამერიკაში დაბრუნდა. მუშაობდა ერთ-ერთ ყავის კომპანიაში. დაინტერესებული იყო ნადირობით და იარაღებით.

პრეზიდენტის მკვლელობის საქმეს იმ ეპოქის მსოფლიოში კარგად ცნობილი უორენის კომისია იძიებდა. მისი გასაოცარი დასკვნით, პრეზიდენტი კენედი მოკლული და გუბერნატორი კონელი დაჭრილი იყო ერთი ტყვიით. ანუ, თურმე, მკვლელის მიერ შაშხანიდან ნასროლმა ტყვიამ ჯერ პრეზიდენტის ყელში გაიარა, შემდეგ გულ-მკერდის არეში გაისეირნა, მერე გარეთ გამოვარდა, შეტრიალდა და ახლა გუბერნატორ კონელს ზურგში დაეტაკა, წინამხარშიც გაუარა, მაჯა და ბარძაყი დაუზიანა და ბოლოს გარეთ გამოვარდა!

ტყვიის ასეთი ღვარჭნილი მოგზაურობა წარმოუდგენელია, მაგრამ უორენის კომისიის „ერთი ტყვიის თეორია“ სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ეჭვს ბადებს ის ფაქტიც, რომ გამოძიებამ თავის დროზე ყურადღება არ მიაქცია მოწმეთა ჩვენებას, გასროლის ხმები ბიბლიოთეკის გარდა იქვე ახლომდებარე გორაკიდანაც ისმოდაო. ეჭვებს აძლიერებს ლი ჰარვი ოსვალდის ტრაგიკული აღსასრული მის მიერ ჩადენილი მკვლელობის მეორე დღესვე - საპატიმროში გადაყვანისას იგი პოლიციელთა მთელი ესკორტის, ჟურნალისტებისა და უამრავი მაყურებლის თვალწინ თავხედურად დაცხრილა ვინმე ჯეკ რუბიმ. ოსვალდმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო - „მე მსხვერპლი ვარ!“

რაც შეეხება ჯეკ რუბის, რომელმაც, თურმე შური იძია პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გამო, გარდაიცვალა 1967 წელს, ციხეში.

სამწუხაროდ, ეს არ არის ყველაფერი აშშ-ის პრეზიდენტებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების ტრაგიკული ისტორიებიდან. გავიხსენოთ პრეზიდენტ ჯონ კენედის უმცროსი ძმა **რობერტ კენედი** (**Robert Francis „Bobby“ Kennedy,** დაბადებული 1925 წ.), ამერიკის პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან; აშშ-ის იუსტიციის მინისტრი; ვიეტნამის ომის შეურიგებელი მოწინააღმდეგე; 11 შვილის მამა. 1968 წლის 5 ივნისს სასიკვდილოდ დაჭრა ვინმე არაბმა ემიგრანტმა სირჰან სირჰანმა. თუ არ ვცდები, ამერიკული სასამართლოს მიერ სამუდამოდ ციხეში განწესებული სირჰანი დღესაც ცოცხალია.

1912 წლის 14 ოქტომბერს აშშ-ის ოცდამეექვსე პრეზიდენტ **თეოდორ რუზველტს** მილუოკიში წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლამდე ტყვია დაახალა ვინმე ჯონ შრეკმა. ტყვია რუზველტს მკერდში მოხვდა, მაგრამ გულამდე ვერ მიაღწია, რადგან ჯიბეში სათვალის ლითონის ყუთი და 50-გვერდიანი მოხსენება ედო.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოგახსენებთ, რომ სხვადასხვა დროს თავდასხმები განხორციელდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტზე, ჯერალდ ფორდსა და რონალდ რეიგანზე.

საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, 1992, 1995 და 1998 წლებში სამ ძალიან სერიოზულ ტერორისტულ თავდასხმას გადაურჩა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ხოლო თავდასხმების რეკორდული რაოდენობის ადრესატად, გნებავთ, მსოფლიო ჩემპიონად შეგვიძლია მოვიხსენიოთ კუბის პრეზიდენტი ფიდელ კასტრო. რაიმე დოკუმენტური მასალა არ გამაჩნია, მაგრამ თავად კასტროს განცხადებით, ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში იყო მასზე განხორციელებული ტერორისტული აქტის, ან მისი მცდელობის... 150 შემთხვევა!

არა მგონია.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

პრეზიდენტი მაკ-კინლი სასიკვდილოდ დაჭრა ანარქისტმა ლეონ ფრანკ ჩოლგოშმა.

სამშობლო იყო მისთვის მთავარი!

სვიმონ გამსახურდიას 95-ე წლისთავისათვის

ცნობილ მეცნიერ-ისტორიკოსს სვიმონ გამსახურდიას 24 ივლისს 95 წელი შეუსრულდებოდა. ეს გვარიან ხანდაზმულობის ასაკად მიიჩნევა, მაგრამ ჩემთვის სრულიად შეუძლებელია „გვარიანად, თუ არც ისე“ ხანდაზმულად წარმოვიდგინო სვიმონ გამსახურდია. იგი ჩემი უსაყვარლესი მეგობარი იყო და ასე მეგონა, რომ ის გონებრივი თუ ფიზიკური სასიცოცხლო ენერგია, რაც ასე უხვად ჰქონდა მას, არასოდეს მიგვრძნია რაიმე ასაკობრივი განსხვავება თუ იყო ჩვენს შორის.

სვიმონი ელიტარული ქართველი ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. არავის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ მას ყველაფერში ეტყობოდა აზნაურობა – სიტყვა-პასუხში, მიხვრა-მოხვრაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, პასუხისმგებლობით ხომ ნამდვილი რაინდი იყო.

სვიმონის მამა უცხოეთში განსწავლული ეკონომისტი იყო და ძალიან ახალგაზრდა შეიწირა 30-იანი წლების ცნობილმა რეპრესიებმა. ჯერ ისევ ბავშვი უმამოდ დარჩა დედისა და მისი დიდი ბიძის კონსტანტინეს მზრუნველობით გაიზარდა. ბიძის გავლენა, ჩემი აზრით, ძალიან ეტყობოდა, იქნებ, სწორედ ამიტომ აირჩია ისტორიკოსის პროფესია. აი, პროფესიისადმი მისი ფანატიკური ერთგულება მის უმნიშვნელოვანეს პიროვნულ ნიშნად მიმაჩნია. ამასთან დაკავშირებით, ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო:

სვიმონ გამსახურდიას მეცნიერული ინტერესები ძირითადად ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის კულტუროლოგიური პრობლემების შესწავლაზე იყო მიმართული და მან ამ პრობლემათა კვლევით მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა, რასაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სერიოზული ისტორიკოსი თუ ისტორიის სწავლების სპეციალისტი. მას მიაჩნდა, რომ ეროვნული ცნობიერების, კერძოდ, სამშობლოს პატრიოტი თაობის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიის კულტუროლოგიური შინაარსის გააზრებას, რაც ეროვნული მენტალიტეტის არსებით ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. არ შეიძლება, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას!

ერთი პერიოდი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდით ერთად. სწორედ იქ დაწერა მან ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „განათლება ძველ საქართველოში“, რომელიც მალე ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა. ეს წიგნი ერთობ მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული წარსულის განათლებისა და კულტურის ისტორიის ფაქტობრივი გამოკვლევის თვალსაზრისით, არამედ იმის გასააზრებლად, თუ რა საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საგანამანათლებლო კონცეფციების შეფასება სრულიად შეუძლებელია წარსულის გამოცდილების ცოდნის გარეშე, რადგან „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე შეჩერდა მამა,“ რომ არსებითი ორიენტაციები არ აერიოს მას, როგორც ეს ახლა ხდება, სასკოლო განათლების ახალი კონცეფციები, ჩვენი კლასიკოსების პედაგოგიური მრწამსის ახლებული გააზრებისა და ხელახლა წარმოჩენის ხერხები, ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო განმავითარებელი სწავლების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემა. ამ პრობლემის ექსპერიმენტული დამუშავება და შედეგების განზოგადება ჩვენს ინსტიტუტს მიანდეს. ამასთან დაკავშირებული კვლევები თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ტარდებოდა. ძირითადი აქცენტი ისტორიის სწავლებაზე გაკეთდა და მას სვიმონ გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ არის გაზიარებული ის აზრი, რომ მოსწავლის შემეცნებითი უნარების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალება სასწავლო მასალის პრობლემის სახით მიწოდების მეთოდია, თუკი ამის საშუალებას სასწავლო მასალა იძლევა. აი, სწორედ პრობლემური სწავლების მეთოდიკის სრულყოფა და მასობრივ სწავლებაში მისი გამოყენების პრაქტიკის ეფექტიანობის პირობების განსაზღვრის ამოცანა დაისახა მიზნად სვიმონ გამსახურდიამ ექსპერიმენტატორ პედაგოგთან, ახალგაზრდა მასწავლებელ მანანა კობახიძესთან ერთად. ეს გაკვეთილების გამოცდილების განზოგადებისა და რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებისთვის ინფორმირების მიზნით, ხშირად გადაიცემოდა ტელევიზიით, საამისოდ საგანგებოდ დადგენილი გრაფიკის მიხედვით, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და მიმდევრებიც ბევრი გამოუჩნდა.

ამ ექსპერიმენტის პროცესში გამოვლინდა სვიმონ გამსახურდიას ღრმა ცოდნა და ერუდიცია პედაგოგიური პრობლემების შესწავლისა და გამოყენების სფეროში, რაც არც იყო გასაკვირი „ძველ საქართველოში განათლების ისტორიის“ ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორისაგან.

სვიმონ გამსახურდია სრულიად გამორჩეული პიროვნული თვისებებით იყო შემკული. ერთობ პრინციპული, სამეცნიერო დისკუსიებში უკომპრომისობით ცნობილი კაცი, რომელიც არც პირად ურთიერთობებში იყო ლიბერალური, რომელიც არასოდეს ამბობდა „არა“-ს, როდესაც „კი“ უნდა თქმულიყო და პირიქით. მაინც ყველასთვის მისაღები და სასიამოვნო კოლეგა თუ თანამეინახე იყო. რატომ იცით? უზადო ნიჭიერებას, ცოდნა-ერუდიციას, შეუვალ პრინციპულობას ასხივებდა, ეს კი შინაგანად ყველა ადამიანის პატივისცემას იწვევდა. მეგობრობა ხომ იცოდა და იცოდა, თავისებური, უღალატო, რასაც სიტყვებით კი არ ამჟღავნებდა, ამას გაგება უნდოდა, ყველას არა აქვს საამისო უნარი, სამწუხაროა რაიც!

ერთი შეხედვით, ცოტა დისტანცირებული, ცოტა, თითქოს გულცივი სხვათა მიმართ, უაღრესად ალალი, გულკეთილი, სენტიმენტალურიც კი იყო გარშემო მყოფების მიმართ. სიყვარულისა და ვინმეს მიმართ აღტაცების აშკარად გამოხატვა არ უყვარდა, ამას უნდა მიმხვდარიყავი და გეგრძნო. ლექსებსაც წერდა, მაგრამ გამოქვეყნება არც უცდია.

არავის მინდა, ეწყინოს, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც: ბევრი მეგობარი მყავდა და მყავს, კიდევ უფრო ბევრი ნაცნობი მათ შორის, პოეტებიც, მაგრამ ცოლზე რომ ლექსებს წერდეს, ასეთი იშვიათად მინიხავს. მხოლოდ სვიმონი იყო ასეთი და ასეთად დარჩა ბოლომდე.

სვიმონ გამსახურდია დიდხანს მუშაობდა სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდა თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის. ასეც იქნებოდა, ცხადია. ცხადია, რადგან ლექციაზე ფუჭსიტყვაობა არ იცოდა, ცოდნით იყო გაჯერებული მისი ლექციები. ურთიერთობას უპრობლემოდ ამყარებდა სტუდენტებთან, რადგან პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობების უბადლო მცოდნე იყო, როგორც თეორიის ცოდნის ასპექტით, ისე პრაქტიკისაც დიდი გამოცდილება ჰქონდა და იმიტომ!

როგორც ყველა ნიჭიერ კაცს, იუმორის გრძნობა მოჭარბებულად ჰქონდა და სიტყვა-მახვილობაშიც კარგად იყენებდა.

სვიმონ გამსახურდია, როცა ამ ქვეყნიდან გავიდა, ჩემთვის ის ახალგაზრდა იყო, თუმცა რაღაც საკრალური ასაკი ჰქონდა – 77. მან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა, როგორც ისტორიკოსმა, პედაგოგმა და მოქალაქემ.

მას აქ ღირსეული შვილები დარჩნენ, რომლებიც ბეჯითად აგრძელებენ მის ტრადიციებს, ასეთივენი იქნებიან მისი შვილიშვილებიც, რომელთაგან ზოგიერთები ალი-კვალი ბაგუის მსგავსნი არიან!

ასეც იქნება, რადგან ასეთი კაცები, როგორიც სვიმონი იყო, გარდაცვალების შემდეგაც ცოცხლობენ.

ზურაბ ცუცქირიძე

წერილი საჩხერიდან

ახალი სიხარული და ძველი დარდი



ამას წინათ, ძველ პერიოდიკას რომ ვათვალიერებდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიერ 1964 წელს გამოცემული ჟურნალ ,,ძეგლის მეგობრის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულმა, ჩემი წერილის სათაურად გამოტანილმა აკადემიკოსი ნიკო კეცხოველის სიტყვებმა.

ყველა დროის საქართველოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მეცნიერის მოსაზრებები სადღეისოდაც იმდენად აქტიურად მიმაჩნია, რომ თავს უფლებას ვაძლევ, საკმაოდ გრძელი ამონარიდები გაგაცნოთ სტატიიდან:

„...გზადაგზა მინახავს ათი, ასი და, ვინ იცის, იქნებ ათასი და მეტი ნასოფლარი, ნაოხარი... ერთ-ერთ ნასოფლარში მოვხვდი. იგი ორასიოდე წლის წინათ დაუტოვებიათ. სახლები ისევ დგანან. შევედი ერთ მათგანში: შუა ცეცხლი, ტახტი, ტახტზე სურა, ჯამი, კოვზი... თითქმის მასპინძელი, აი, ეს-ესაა, შემოვაო“...

„ფიქრებში წასული ძეძვიანში აღმოვჩნდი ... აქა-იქ აკაკისხე იდგა. ბაბილო ჩანდა ზედ ასული. შევხედე ზევით – მტევნები ღუოდნენ, მტევნები კარგი ყურძნისა... აი, კიდევ ერთ მოწმე წარსულისა! მაგრამ საიდან? როგორ თუ საიდან – აგერ დოდოს რქა, ნათლისმცემელი,გარეჯის მთავარი მონასტერი... უკვე გარეჯის მონასტერში ვარ და ვაზიც, ნუშიც, ბროწეულიც. მაშინ, როცა ამ მონასტრის ბაღები უპატრონოდ დარჩნენ, გაგარეულდნენ... მათმა ნახვამ გამახარა. ეს ვაზი იმ ხუთას ძირს მიემატა, რომელიც დღემდე იყო ცნობილი... მაგრამ სიხარული მალე ძველმა დარდმა შეცვალა: აი დოდოს რქა, მრავალი გამოქვაბული უხვად მოხატული, ფრესკები ცოცხლად მოხატულნი, ფრესკები ცოცხლად მაცქერალნი...

ფიქრი იელვებს: ვთქვათ, არის ერი, რომელსაც ისტორია არ აქვს, უფრო სწორად – მატერიალური კულტურის ძეგლები. გარეჯი რომ მივცეთ, ხომ ექნება ისტორია? ექნება. ჩვენ კი არსებულისთვის ვერ მოგვივლია. რად? დაუდევრობა თუ გულგრილობა? არ ვიცი და აი, სწორედ ამიტომ ივსება გული ძველი დარდით... გარეჯს კი მიხედვა უნდა და რაც შეიძლება მალე“.

სამოცი წელი გავიდა ამ სტატიის გამოქვეყნებიდან. ჩვენ კი გარეჯის ტერიტორიის ნაწილი გავაჩუქეთ და უკვე რამდენიმე წელია, ჭიანურდება სამართლებრივი გზით მისი დაბრუნების მცდელობა.

კიდევ რამდენი რამ გვაქვს მისახედი: ციხე, გალავანი, სასახლე, საყდარი, სალოცავი, ნიშა, სასაფლაო, ხიდი, ქარვასლა, დარბაზი, გომური, ფაცხა, ჯარგვალი, არხი, წისქვილი, ზეთსახდელი, მარანი და სხვა მრავალი საკულტო-სამეურნეო ნაგებობანი, რომლებსაც თავსართ-ბოლოსართებად სამწუხარო და ნაღვლიანი „ნა-არი“ აქვთ.

დანაშაულებრივი გულგრილობის ნიმუშებია სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მოქცეული ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაც რესტავრაციის საბაბით ქართულ კვალს უკარგავენ და არარსებულ ისტორიებს იქმნიან.

ხსენებული ჟურნალი – „ძეგლის მეგობარი“ – კი სწორედ რომ ამ პრობლემების მოგვარებას უწყობდა ხელს.

მარტო ჟურნალის სხვადასხვა დროს რედკოლეგიის გაცნობაც საკმარისია იმის წარმოსადგენად, რამხელა ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა იგი: **შალვა ამირანაშვილი, ანდრო აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, თენგიზ გუაჩიძე, ლევან გოთუა, ლადო გუდიაშილი, ნიკო კეცხოველი, იულონ კორძაია, ლევან მატარაძე, კოტე სოხაძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ლევან ხიმშიაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ირაკლი აბაშიძე, გივი ბარათაშვილი, ირაკლი გოლქვაძე, პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, თენგიზ ფერაძე, ვახტანგ ცინცაძე...**

ჟურნალმა 1989 წელს შეწყვიტა გამოსვლა. რედაქცია მიზეზს ასე განმარტავდა: **„კულტურისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელობამ, რომლის ორგანოსაც წარმოადგენს კრებული „ძეგლის მეგობარი“, ჯერ იყო და რედაქცია მთელი წლის განმავლობაში სამუშაო ფართის გარეშე დატოვა (საზოგადოების შენობის რეკონსტრუქციის გამო), შემდეგ კი არ იზრუნა რედაქციის საჭირო ქაღალდით უზრუნველსაყოფად“.**

ახლა აღარც ძეგლთა დაცვის

საზოგადოება (საზოგადოებრივი საწყისების ფორმით) ფუნქციონირებს და აღარც „ძეგლის მეგობარი“.

სამაგიეროდ საქართველოს კულტურას, ისტორიულ და მატერიალურ ძეგლებს ჰყავს უნარიანი, პრინციპული, მზრუნველი პატრონი მინისტრ **თეა წულუკიანის** სახით და ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობას არ უნდა გაუჭირდეს ჟურნალის აღდგენა, რაც მე პირადად მეტად საჭირო საქმედ მიმაჩნია.

პატივისცემით,
ცეზარ ლაშხი,
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

პრეზიდენტობა საშიშია თქვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის!..

1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი კენედი დალასში ლი ჰარვი ოსვალდის ტყვიამ იმსხვერპლა

მეექვსე გვერდიდან

კასობრიობის ისტორიაში მოიძებნოს ბედნიერი ქვეყანა, სადაც უმაღლესი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეებზე ანგარიშსწორების მაგალითები არ არსებობდეს. ეს ეხება ტომების ბელადებსაც, ფარაონებსაც, მეფეებსაც, ხალიფებსაც, პრეზიდენტებსაც, პრემიერებსაც, პარტიების ლიდერებსაც და, უბრალოდ, ავტორიტეტულ პიროვნებებსაც. ბუნებრივია, ვგულისხმობ იდეოლოგიურ ტერორსაც.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიოში ვითარება გაცილებით დახვეწილი და საიდუმლოებით მოცულია. ფიზიკური და იდეოლოგიური ტერორის, თვით მსოფლიო მასშტაბის ომების მმართველად გვევლინება უცნობი ძალა, რომლის არსებობის შესახებ ყველა ლაპარაკობს, მაგრამ მასზე კონკრეტულად მითითება არავის შეუძლია.

შორს რომ არ წავიდეთ, ამაზე მიუთითებს თუნდაც, მსოფლიო მასშტაბით ატეხილი აჟიოტაჟი, უზარმაზარი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ტერორი საქართველოს წინააღმდეგ... ე. წ. „გამჭვირვალობის კანონის“ მიღების გამო. თავად განსაჯეთ – საქართველოში მიღებული კანონის ავკარგიანობაზე საუბრობენ ამერიკელი, გერმანელი, ფრანგი, ისლანდიელი, ბელგიელი, სკანდინავიელი, ბალტიისპირელი პოლიტიკოსები. იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებსაც საქართველოს ბედ-იღბალი აინტერესებთ კი არა, მისი არსებობის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა თუ გააჩნიათ.

ეს უცნობი ძალა ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და ყველაფრის გაკონტროლებას ცდილობს. „არასამთავრობო ორგანიზაციების“, გაუგებარი დანიშნულების „პოლიტიკური პარტიების“ სახით მოკავშირეებიც ჰყავს.

შემიძლია ვიწინასწარმეტყველო - ყოვლისმცოდნე, ყველგანმყოფი და ყველაფრის მკადრეგელი „უცნობი“ საქართველოში წინასაარჩევნოდ მორიგ ფართომასშტაბიან არეულობას თუ დაგეგმავს, ამისთვის, შესაძლოა, რომელიმე არაფრისმაქნისი პოლიტიკური პერსონა გაწიროს. პოტენციური მსხვერპლის ვინაობასაც ვიწინასწარმეტყველებდი, მაგრამ მეშინია, წამქეზებლობა და „უცნობთან“ საიდუმლო კავშირები არ დამმრალდეს.

თეიმურაზ ძორიძე

ვინ არის კამალა ჰარისი?!

ცხოვრება ქალისა, რომელიც 2024 წელს ყურადღების ცენტრში იქნება

კამალა ჰარისის კარიერულ გზას პროკურორიდან პოლიტიკოსამდე მრავალი პირველი ადგილი ჰქონდა: ის იყო ქვეყნის პირველი მკვიდრი ამერიკელი სენატორი და პირველი სამხრეთ აზიელი ქალი, რომელიც კალიფორნიის გენერალურ პროკურორად მუშაობდა. ჰარისი არის პირველი ქალი, რომელიც გახდა ვიცე-პრეზიდენტი და პირველი შავკანიანი ან აზიელი ამერიკელი, რომელმაც ეს თანამდებობა დაიკავა.

ახლა, ჰარისი, შესაძლოა ქვეყნის პირველი ქალი პრეზიდენტი გახდეს.

აი, რა უნდა იცოდეთ ჰარისის ცხოვრებისა და იმ მოღვაწეობის შესახებ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მისი გზა პოლიტიკაში.

ემიგრანტების შვილი კამალა დევი ჰარისი დაიბადა ოკლენდში, კალიფორნიაში 1964 წლის 20 ოქტომბერს.

მისი 2019 წლის მემუარების შესავალში, „სიმართლეები, რომლებსაც ჩვენ ვფლობთ“, ჰარისმა აღნიშნა, რომ მისი სახელი წარმოითქმის „მძიმით-ლა“, პუნქტუაციის მსგავსად, და რომ ეს ნიშნავს „ლოტოსის ყვავილს“ - ინდოეთის კულტურის მნიშვნელოვან სიმბოლოს.

ჰარისის მამა, დონალდი, იამაიკიდან ემიგრაციაში წავიდა შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში ეკონომიკის შესასწავლად. ახლა ის სტენფორდის ეკონომიკის პროფესორია.

მისი დედა, შიამალა გოპალან ჰარისი, ემიგრაციაში წავიდა შეერთებულ შტატებში სამხრეთ ინდოეთიდან 1950-იანი წლების ბოლოს. მან მიიღო დოქტორის ხარისხი კვებასა და ენდოკრინოლოგიაში ბერკლიში და გახდა ძუძუს კიბოს აღიარებული მკვლევარი 2009 წელს.

ჰარისი წერს, რომ მისმა მშობლებმა „ერთმანეთი გაიცნეს და შეუყვარდათ ბერკლიში, სამოქალაქო უფლებების მოძრაობაში მონაწილეობისას“, მაგრამ წყვილი მოგვიანებით განქორწინდა, როდესაც ჰარისი და მისი და მაია ახალგაზრდები იყვნენ.

ჰარისი აფასებს დედას იმისთვის, რომ „ისეთ ქალებად გვაქცია, როგორებიც ვართ“ და ასწავლა შვილებს,

იამაყონ როგორც მშობლიური ამერიკით, ასევე შავკანიანი მემკვიდრეობით.

„ჩვენი კლასიკური ინდური სახელები ჩვენი მემკვიდრეობაა და ჩვენ ინდური კულტურის ღრმა გაგებითა და პატივისცემით აღვიზარდეთ“, – წერს ჰარისი თავის მემუარებში.

„დედაჩემმა კარგად იცოდა, რომ ორ შავკანიან ქალიშვილს ზრდიდა. მან იცოდა, რომ ამერიკა მე და მაიას შავკანიან გოგოებად დაგვინახავდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თავდაჯერებული, ამაყი შავკანიანი ქალები გაეზარდა“.

* * *

1982 წელს ჰარისი შევიდა ჰოვარდის უნივერსიტეტში, ისტორიულად შავკანიანთა უნივერსიტეტში ვაშინგტონის ცენტრში.

იქ იგი შეუერთდა **Alpha Kappa Alpha**-ს, ერის უძველეს შავკანიან საზოგადოებას და მიიღო ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკაში. მოგვიანებით იგი გახდა პირველი **HBCU** კურსდამთავრებული, რომელიც აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად.

კოლეჯის დასრულების შემდეგ ჰარისი დაბრუნდა კალიფორნიაში და შევიდა სამართლის სკოლაში კალიფორნიის უნივერსიტეტში, ჰასტინგსში. როდესაც მან გადაწყვიტა, პროკურორის კარიერა გაეგრძელებინა საოლქო პროკურატურის ოფისში, ჰარისმა თქვა, რომ უნდა დაეცვა თავისი არჩევანი მეგობრებისა და ოჯახის წინაშე.

„ამერიკას აქვს ღრმა და გნელი ისტორია იმისა, რომ ხალხი პროკურორის ძალაუფლებას უსამართლობის ინსტრუმენტად იყენებს“, – წერს იგი თავის მემუარებში. „მაგრამ მე ასევე ვიცოდი, რომ

2011 წელს ჰარისი გახდა პირველი შავკანიანი ამერიკელი, პირველი ქალი და პირველი აზიელი ამერიკელი, რომელიც აირჩიეს კალიფორნიის გენერალურ პროკურორად.

ის, რაც სისტემაში იყო არასწორი, არ უნდა ყოფილიყო მძიმე ფაქტი. და მე მინდოდა, ვყოფილიყავი ამის შეცვლის მონაწილე.“

იურიდიული სკოლის დამთავრების შემდეგ, ჰარისი მუშაობდა პროკურორად სამი ათწლეულის განმავლობაში, მუშაობდა ოკლენდის ალამედას ოლქის პროკურორის მოადგილედ, სანამ 2004 წელს სან-ფრანცისკოს ოლქის პროკურორად აირჩიეს.

2011 წელს ჰარისი გახდა პირველი შავკანიანი ამერიკელი, პირველი ქალი და პირველი აზიელი ამერიკელი, რომელიც აირჩიეს კალიფორნიის გენერალურ პროკურორად.

გენერალური პროკურორობის დროს, ჰარისმა გაიცნო და დაუმეგობრდა ბაიდენის უფროს შვილს, ბოს, რომელიც ასევე დელავერის გენერალურ პროკურორად მუშაობდა.

ჰარისის, როგორც პროკურორის და მოგვიანებით, როგორც კალიფორნიის სამართალდამცავი მაღალჩინოსნის საქმიანობა, 2020 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს, განხილვის საგანი გახდა. პროგრესული აქტივისტები და სამართალდამცავი ორგანოების დამცველები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მის მიერ სამსახურში მიღებულ რამდენიმე გადაწყვეტილებას, მათ შორის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პოზიციებს.

2014 წელს ჰარისი დაქორწინდა დაგ ემჰოფზე, იურიდიული ფირმის ყოფილ მმართველ პარტნიორზე. წყვილი ერთმანეთს ბრმა პაემანზე შეხვდა. ემჰოფი ქვეყნის პირველი მეორე ჯენტლმენია.

* * *

2015 წელს ჰარისმა დაიწყო კამპანია აშშ-ს სენატში ადგილისთვის, ცდილობდა შეეცვალა დიდი ხნის კალიფორნიის სენატორი ბარბარა ბოქსერი.

ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა გაიდენმა მხარი დაუჭირეს მის კამპანიას და ის მოგვიანებით თავის მემუარებში წერს, რომ 2016 წლის არჩევნების ღამე იყო „სურეალისტური“ მრავალი მიზეზის გამო – არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაიმარჯვა.

„მე გავხდი აშშ-ის სენატორი – პირველი შავკანიანი ქალი ჩემი შტატიდან და მეორე ქვეყნის ისტორიაში, რომელმაც ეს თანამდებობა დაიმსახურა“, – წერს ის.

აშშ-ის სენატში ყოფნის დროს, ჰარისი მსახურობდა სენატის სასამართლო კომიტეტში, ასევე დაზვერვის შერჩეულ კომიტეტში, სანამ 2019 წელს, აშშ-ს სენატორობაზე კანდიდატურას წარადგენდა.

იმავე წელს, ხალხმრავალი საპრეზიდენტო პირველადი დებატების დროს, ჰარისმა გააკრიტიკა მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენის ჩანაწერი, მათ შორის, მისი წინა პოზიციები დესეგრეგაციისა და სკოლის ავტობუსების შესახებ.

ბაიდენის გადაწყვეტილება, რომ თავის კანდიდატად ჰარისი აერჩია, ზოგისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ის ამას უწოდებს „საუკეთესო გადაწყვეტილებას, რაც მე მივიღე“.

2021 წლის 20 იანვარს, ჰარისმა ფიცი დადო, როგორც ქვეყნის პირველმა ქალმა, შავკანიანმა და პირველმა სამხრეთ აზიელმა ვიცე-პრეზიდენტმა.

ბებერი ევროპა ორბანს გადაეკიდა!

ევროპის ტრადიციული პარტიები და მათი იდეოლოგიები ეგზისტენციალურ კრიზისს განიცდიან. განსხვავება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის რთული შესამჩნევი ხდება. წინა პლანზე ახალი იდეოლოგიის მატარებელი პარტიები ჩნდება, რომელთა კრებითი სახელია ევროსკეპტიკოსები. მათთვის დამახასიათებელია ეროვნული სუვერენიტეტის უფრო მაღლა დაყენება, ვიდრე საერთო-ევროპულის. ამ ახალი განაპის ერთ-ერთი ლიდერი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანია.

პირველი ივლისიდან დაწყებული, უნგრეთი ევროსაბჭოს მორიგი თავმჯდომარე ქვეყანაა. შესაბამისად, ორბანი საერთაშორისო არენაზე თვალში საცემად გააქტიურდა. იგულისხმება, მშვიდობის მიღწევის მიზნით, უკრაინაში მისი ბოლო დროინდელი ვოიაჟები. ორბანის ასეთმა მოურიდებელმა და დამოუკიდებელმა მოძრაობამ ბრიუსელი გააღიზიანა, სადაც, უკვე, ხმამაღლა მოითხოვენ ორბანის დასჯას, მაგრამ არავინ იცის, როგორ. ასეთი რამ ევროკავშირის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერი ალიანსს მისი გარიყვისკენ მოუწოდებს, ანუ მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების მიმართ ბოიკოტის გამოცხადება სურთ. ევროპარლამენტის 63-მა დეპუტატმა ევროკავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდა, უნგრეთს ხმის უფლება ჩამოართვან. ორბანი არ იმჩნევს მის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის სიმძაფრეს და მშვიდად განაგრძობს შეხვედრებს, რომლის დროსაც, თავის იდეებს ავრცელებს. იგი, უკვე, ორჯერ შეხვდა ტრამპს. ორივეჯერ, პირადად ეწვია მას ფლორიდაში. ამბობს, რომ ტრამპისა და მისი პოლიტიკური შეხედულებები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ორბანი დარწმუნებულია ტრამპის გამარჯვებაში, და მასთან ერთად საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობისთვის ემზადება.

ტრამპთან ბოლო შეხვედრის შემდეგ ორბანმა განაცხადა, რომ მას უკრაინის ომის დამთავრების გეგმა აქვს, რომელიც ტრამპს გაუზიარა, თუმცა, გეგმის შინაარსს, ჯერჯერობით, არ ამხელს. მხოლოდ მცირე რაოდენობის დეტალები გაუმხილა მასმედიას. მისი აზრით, ჩინეთის, ამერიკის, ევროკავშირისა და თურქეთის დახმარებით, უკრაინამ და რუსეთმა სამშვიდობო მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. მანამდე კი, ორბანი ბრიუსელს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას სთავაზობს. მისი აზრით, თუ დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტი გახდება, ის რუსეთ-უკრაინის ომში მშვიდობის შუამავალი იქნება ისედაც. ამიტომ ტრამპის არჩევამდე ბრიუსელს ამ საკითხში გააქტიურებას სთავაზობს.

ევროსაბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ვიქტორ ორბანს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ის არ არის უფლებამოსილი, უკრაინის შესახებ ევროკავშირის სახელით მისიები მართოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ორბანი გაჩერებას არ აპირებს. ბრიუსელისთვის სამწუხაროდ, მას ევროპარლამენტშიც მყარი პოზიციები აქვს. მისი ინიციატივით, ახალ პარლამენტში ახალი დიდი ფრაქცია შეიქმნა, სახელწოდებით „პატრიოტები ევროპისთვის“, რომელშიც 84 დეპუტატი შედის და, ფაქტობრივად, მესამე ძალა იქნება ევროპარლამენტში. ფრაქციას მარი ლე პენის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ჟორდან ბარდელა უხელმძღვანელებს. ორბანი რომ ნიჭიერი პოლიტიკოსია, ამ საკითხშიც გამოჩნდა. მისი ფრაქციის დეპუტატები ადრე ევროსკეპტიკოსების ფრაქციაში შედიოდნენ, რომელსაც იდენტობა და დემოკრატია ჰქვია, და რომლის ლიდერი იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი იყო. ორბანს კი, უკრაინის საკითხში, მასთან უთანხმოება აქვს. ჯორჯია მელონი მკვეთრი ანტირუსული პოლიტიკის მომხრეა. ამიტომ, ორბანმა, მელონის ფრაქციიდან დეპუტატების გადმობირებით, მელონი დაასუსტა. ახლა კი, თავად მოირგო ევროსკეპტიკოსების ბანაკის ლიდერობა, რომლებიც არ მალავენ, რომ აღფრთოვანებულნი არიან ორბანის პოლიტიკით. ორბანის უნგრეთი პრაგმატულ მრავალვექტორიან საგარეო პოლიტიკას ატარებს, რაც ევროკავშირის არც ერთ პატარა ქვეყანას არ ახასიათებს.

საკმარისია, გავიხსენოთ ორბანის აქტიური კავშირები ჩინეთთან, ან უნგრეთის მონაწილეობა თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში. უნგრეთმა სავაჭრო ურთიერთობები შეინარჩუნა რუსეთთან. მან მხარი კი დაუჭირა რუსეთის მიმართ სანქციებს, მაგრამ თავისი ქვეყნისთვის გამონაკლისების გატანაც შესძლო. ორბანის კონფრონტაცია ბრიუსელთან, ალბათ, გაგრძელდება, და თუ ამერიკის სათავეში მართლა ტრამპი მოვა, კონფრონტაცია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაღრმავდება...

ნუგზარ ბ. რუხაძე.
POSTV

ევროკავშირის საბჭო სომხეთთან ვიზალიბერალიზაციაზე მოლაპარაკებებს იწყებს

ინფორმაციას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არარატ მირზოიანი ავრცელებს.

„მივესალმებით საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ევროკავშირის მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ევროპული ფონდის ფარგლებში სომხეთის მიმართ მხარდაჭერის გამოყოფისა და ვიზალიბერალიზაციის შესახებ დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით“, – განაცხადა არარატ მირზოიანმა.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირის საბჭომ ევროპის სამშვიდობო ფონდის ფარგლებში სომხეთის შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად 10 მილიონი ევროს ღირებულების დახმარება დაამტკიცა.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გახანგრძლივდა

„ეს სანქციები, რომლებიც პირველად 2014 წელს ამოქმედდა, 2022 წლის თებერვლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის არაპროვოცირებული, გაუმართლებელი და უკანონო სამხედრო აგრესიის საპასუხოდ", - ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს განცხადებაში.

სანქციები მოიცავს დარგობრივი ზომების ფართო სპექტრს, მათ შორის შეზღუდვების სამიზნეა ვაჭრობა, ფინანსები, ტექნოლოგიები და ორმაგი გამოყენების საქონელი, მრეწველობა, ტრანსპორტი და ფუფუნების საგნები.

სანქციები ასევე მოიცავს რუსეთიდან ევროკავშირში ნედლი ნავთობისა და გარკვეული ნავთობპროდუქტების ზღვით იმპორტის ან გადატანის, რამდენიმე რუსული ბანკის მიერ სისტემა **SWIFT**-ის გამოყენებისა და ასევე ევროკავშირში კრემლის მიერ მხარდაჭერილი მედიასაშუალებების მაუწყებლობის აკრძალვას. გარდა ამისა, კონკრეტული ზომები ევროკავშირს საშუალებას აძლევს, სანქციების გვერდის ავლას შეეწინააღმდეგოს.

რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის საპასუხოდ, 2022 წლის 24 თებერვლიდან ევროკავშირმა ჯამში სანქციების 14 პაკეტი დაამტკიცა.

ხასო ხანგოშვილის შემოქმედებითი საღამო დუისში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი და მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ემზარ ჯგერენაია პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში გამართულ ხასო ხანგოშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოს დაესწრნენ.

ტარიელ ხარხელაურთან, ეთერ და ლელა თათარაიძეებთან ერთად, შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა მირიან ხოსიტაშვილმა. მან უხუცესი ქისტი მწერლის ხასო ხანგოშვილის შემოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე ყველა გამომსვლელი ქართველებისა და ქისტების მეგობრობის, ერთიანობის აუცილებლობაზე გულანთებულები საუბრობდნენ“, – აღნიშნა მირიან ხოსიტაშვილმა.ღონისძიებაზე მექა ხანგოშვილის წიგნის, „ქისტები, რომლებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტორია“, წარდგენა გაიმართა. გამოცემა ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით დაიბეჭდა.

ხაშურში იუსტიციის სახლი გაიხსნა

სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო იზრდება. ხაშურში იუსტიციის სახლის ფილიალი გაიხსნა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას 500-მდე მომსახურებას თანამედროვე და კომფორტულ გარემოში მიაწვდის. აქვე სპეციალურად მოწყობილ სარიტუალო სივრცეში ქორწინების მსურველი წყვილები საზეიმო ცერემონიალის დაგეგმვასაც შეძლებენ.

იუსტიციის სახლი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ და სახელმწიფო რწმუნებულმა შიდა ქართლის რეგიონში ლევან ხარაბაძემ გახსნეს.

ახალი ფილიალი აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და თანამედროვე ინვენტარით; სრულად არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. აქ 20-მდე ადგილობრივი პირია დასაქმებული.

ხვალ პარიზში საზეიმოდ გაიხსნება XXXIII ოლიმპიური თამაშები!

◎ ხუთი რგოლი

პარიზის ოლიმპიური სოფლის პირველი სტუმრები

პარიზის ოლიმპიური თამაშებისთვის აგებული ოლიმპიური სოფელი ოფიციალურად გაიხსნა და პირველი სტუმრებიც მიიღო. მათ შორის არიან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ელგუჯა ბერიშვილი, სეოკ-ის სპორტული დირექტორი გიორგი ესაპია და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური.

პარიზის ჩრდილოეთით აშენებულ ოლიმპიურ სოფელში დაახლოებით 14,5 ათასი ადამიანი შესახლდება, მათ შორის – 9 ათასზე მეტი სპორტსმენი. ოლიმპიური სოფელი შედგება 82 ნაგებობისგან და სულ არის 3 ათასი ბინა, მთლიანობაში 7 200 ოთახით. ოლიმპიურ სოფელში არის სავარჯიშო დარბაზები და მოედნები, სამედიცინო კლინიკა, ფიტნეს კლუბი, გასართობი ცენტრი, სასადილო, რომელსაც შეუძლია დღის განმავლობაში 60 ათასი ულუფით მოემსახუროს სტუმრებს.

პარიზი-2024-ის ხელმძღვანელთა განმარტებით, ოლიმპიური სოფლის მშენებლობისას ბევრი სიახლე გამოიყენეს, რაც, თავის მხრივ, მიმართული იყო ეკოლოგიურად სუფთა და სანიმუშო გარემოს შესაქმნელად. ორგანიზატორები სიამაყით აღნიშნავენ, რომ მობინადრეთა სიგრილისთვის ოლიმპიური სოფელი არ საჭიროებს ჰაერის კონდიცირებას – ისეა მოწყობილი, რომ შიდა ტემპერატურა 6 გრადუსით ნაკლებია გარე ტემპერატურაზე.

სეოკ-ის წარმომადგენლებმა უკვე გამართეს საქმიანი შეხვედრები პარიზი-2024-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებთან, შესაბამის სამსახურებთან, ადგილზე მიიღეს აუცილებელი პირველადი ინფორმაცია, რათა ოპერატიულად გადაწყვიტონ ჩვენი ოლიმპიელების მიღება-დაბინავების, ვარჯიშის დაგეგმვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, გაარკვიონ ოლიმპიურ შეჯიბრებებში მონაწილეობის ტექნიკური დეტალები. ამ შეხვედრებზე განიხილეს ყველა მთავარი საკითხი – მათ შორის, საბოლოოდ დაზუსტდა ჩვენი დელეგაციის პერსონალური შემადგენლობა, გახსნისა და დახურვის ცერემონიებში მონაწილეობის, ოლიმპიურ სოფელში შესვლისა და გამგზავრების პირობები. დასკვნითი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და თითქმის სამ საათს გაგრძელდა.

ქართველი ოლიმპიელები იცხოვრებენ მეხუთე კორპუსში, მეორე-მესამე სართულებზე, ოლიმპიური მისიის მთავარი ოფისი და სამედიცინო ცენტრი კი პირველ სართულზეა განთავსებული.

ქართველ ოლიმპიელთა პირველი მცირერიცხოვანი ჯგუფი თბილისიდან 21 ივლისს გაემგზავრა, დღეს კი, გარდა მოჭიდაველებისა, ყველანი პარიზში იქნებიან. ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია ხვალ გაიმართება, 27 ივლისიდან კი ჩვენ სპორტსმენთა ნაწილი უკვე ოლიმპიურ შეჯიბრებებში ჩაებმება.

როგორც მოგეხსენებათ, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია და ვიმედოვნებთ, რომ თამაშების სტარტზევე რეიტინგის ლიდერი, ხმლით მოფარიკავე **სანდრო გაზაძე** და 20 წლის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ძიუდოში **გიორგი სარდალაშვილი** საპატიო კვარცხლბეკზე ააბიჯებენ.

ბუნებრივია, განსაკუთრებით გაინტერესებთ ტატამის დიდოსტატ ჯვაროსანთა უძლიერესი ნაკრების ასპარეზობის გრაფიკი და გაუწყებთ, რომ ისინი ფორუმის მედლებს, 3 აგვისტოს ჩათვლით, როცა გუნდური (მიქსი) ტურნირი გაიმართება, ყოველდღიურად გაითამაშებენ.

რაც შეეხება დანარჩენ გამოკვეთილ ფავორიტებს, **ნინო სალუქვაძეს** ცეცხლის ხაზზე ვიხილავთ (ფინალური ბლოკი) 28 ივლისსა და 3 აგვისტოს (შესაბამისად 10 და 25 მეტრიდან სროლაში), ხოლო ფინიშზე – 10 აგვისტოს იჭიდავებს **გენო პეტრიაშვილი** და მე-3 ოქროს შეუტევს **ლაშა ტალახაძე.**

◎ სეოკ-ის განცხადება

ოლიმპიური რეკვიზიტების უნებართვოდ გამოყენება მკაცრად აღიკვეთება!

ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, გვსურს, გავავრცელოთ წინამდებარე საჯარო მოწოდება ოლიმპიური რეკვიზიტების უნებართვო გამოყენების აღკვეთის შესახებ.

ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი), როგორც ოლიმპიური მოძრაობის წამყვანი ხელმძღვანელი ორგანოს ექსკლუზიურ საკუთრებას, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ფლობს მასთან დაკავშირებულ ყველა უფლებას, რაც ითვალისწინებს ნებისმიერი არსებული ან მომავალში შესამუშავებელი საშუალებითა და ფორმით (იქნება ეს ზეპირად თუ წერილობით) ინფორმაციის გავრცელებას და/ან, შეუზღუდავად, ოლიმპიური სიმბოლოების, ოლიმპიური თამაშების ემბლემების, პიქტოგრამების, გრაფიკული გამოსახულებების, ოლიმპიური ნაკრებების ნებისმიერი ემბლემის და/ან ლოგოს, სიტყვების („ოლიმპიური“, „ოლიმპიადა“, „ოლიმპიური თამაშები“ და ა.შ.), მასპინძელი ქალაქების სახელების, ოლიმპიური ღონისძიებების და/ან მონაწილეების ლოგოს, დროშის, გამოსახულების, სახელის, სპორტული ტიტულის, წლების, სავაჭრო ნიშნების და/ან შესაბამისი კანონმდებლობით და/ან სხვაგვარი ფორმით დაცული სასაქონლო ნიშნების, დასახელებების, დევიზების და/ან ნებისმიერი სხვა სახის სიმბოლოს, გამოსახულების, ნიმუშის, სიტყვის, გამოთქმის, გამონათქვამის და ა.შ. გამოყენებას, მათ შორის, შეუზღუდავად, ნებისმიერ პირდაპირ და/ან არაპირდაპირ სარეკლამო/მარკეტინგულ აქტივობას, პოპულარიზაციის ნებისმიერ ფორმას, მაგალითად, სოციალურ მედიასა და სოციალურ ქსელში, ბილბორდებზე, ტელევიზიით, რადიოთი, ბეჭდვით თუ ონლაინ სივრცეებში, შეტყობინებებს/აქციებს (მიუხედავად იმისა, იქნება ფასიანი თუ უფასო), ტრადიციულ რეკლამას/**PR**-ს (პირადი გამოსვლებისა და პრეს/რელიზების ჩათვლით), მათ შორის, ნებისმიერ პროდუქტზე/სავაჭრო სივრცეში და ა.შ.

ამდენად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი პირის მხრიდან ნებისმიერი ზემოაღნიშნული აქტივობა, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენება დაიშვება მხოლოდ სოკ-ის პრინციპების/წესების შესაბამისად და აღნიშნულის წინასწარ, სეოკ-ისგან ნებართვის მიღების და მასთან შეთანხმების გზით.

სეოკ-ი იმედს იტოვებს, რომ წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებით, ინფორმაცია მიეწოდებათ სათანადო პირებს და ისინი იმოქმედებენ სეოკ-ის ნებართვის შესაბამისად ან/და განცხადების გაცნობიდან უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფენ უკანონო მოქმედებების აღკვეთას.

ამასთან, სეოკ-ი განაგრძობს აქტიურ მონიტორინგს და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს. კერძოდ, დამრღვევ პირებს სასამართლოს წესით აუკრძალავს ნებისმიერ უნებართვო აქტივობას და მოითხოვს დამრღვევი პირების მიერ უნებართვო აქტივობებით მიღებულ შემოსავალს/მოგებას. ამასთან, თუ ამგვარი შემოსავალი/მოგება აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოცულობას, შესაძლებელია დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

◎ მუნდიალი

ყოჩაღ, ძველო!

ალბათ, შორს არ არის ის დღე, როცა ვეტერანთა ოლიმპიური თამაშების მოწყობის იდეაც განხორციელდება. რატომაც არა – ძველი გვარდიის სოლიდური ნაწილი ხომ აქამდე ინარჩუნებს ოპტიმალურ სპორტულ კონდიციებს და ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ აქტიური კარიერა უკვე დაასრულეს.

დასტურად ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გამართული ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოდგება, სადაც მცხეთელმა **ზაქარია ხიზანიშვილმა** ერთბაშად 4 მედალი მოიხვეჭა.

ოქრო – ერთადგილიანი კანოე (200 მეტრზე) და ორადგილიანი კანოე ამავე დისტანციაზე (ისრაელელ ვალერი გოლოსოვთან ერთად). **ვერცხლი** – ორადგილიანი კანოე (500 მეტრზე იმავე პარტნიორთან ერთად). **ბრინჯაო** – ერთადგილიანი კანოე (500 მეტრგზე).

დავძენთ, რომ თანატოლთა ფორუმის ფინალურ გაცურვებში **პიშპარიანმა, დვალიშვილმა** და **მილორავამ** იასპარეზეს.

◎ ვერსია

გემოვნებაზე არ დავობენ

გამოკითხვები იმისთვისაა მოგონილი, რომ მათ შედეგებს პირობითი მნიშვნელობა ენიჭება ისევე, როგორც გამოთქმას – გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს ხომ შეიცავს?

ამჯერად ტელეკომპანია ესპიენის შედგენილ 21-ე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა ტომ-ათეულს გაგაცნობთ:

მაიკლ ფელპსი (ცურვა), სერენა უილიამსი (ჩოგბურთი), ლიონელ მესი (ფეხბურთი), ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი), ტომ ბრეიდი (ამერიკული ფეხბურთი), როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი), სიმონა ბაილსი (ტანვარჯიში), ტაიგერ ვუდსი (მეისბოლი), უსეინ ბოლტი (მძლეოსნობა), კობი ბრაიანტი (კალათბურთი).

ვიმეორებთ: ძნელია შეეგუო შენი რჩეულის იგნორირებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ვარსკვლავი უამრავია, ელიტაში ადგილი კი – მხოლოდ 10?

1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მათემატიკაში... დიდი ბრიტანეთიდან

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დიდი წარმატებით იასპარეზა გაერთიანებულ სამეფოში, ქალაქ ბათში გამართულ მათემატიკის 65-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IMO 2024), სადაც 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი და ერთი საპატიო სიგელი მოიპოვა.

ოქროს მედლის მფლობელი გახდა ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლე დავით კლდიაშვილი, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლე რატი რატიანმა, ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – გიორგი კეკენაძემ და მირზა შანიძემ. საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა წულაია.



მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევა, მომზადება და მონაწილეობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით ხორციელდება.

სლოვაკეთში ცნობილი რეპერის სახლი ქართველებმა გაძარცვეს!

8-თვიანი გამოძიების შემდეგ სლოვაკეთის პოლიციამ ცნობილი რეპერის პატრიკ ვრგოვსკის, იგივე Rytmuse-ის სახლის ძარცვისთვის ბრალი წარუდგინა საქართველოს ორ მოქალაქეს. მათგან ერთი უკვე დაკავებულია, ერთზე კი ძებნაა გამოცხადებული.

გამოძიების ინფორმაციით, მძარცველებმა მუსიკოსის სახლიდან თითქმის 90 ათასი ევროს ღირებულების ძვირფასი ნივთები მოიპარეს, ნაძარცვი კი სახლიდან ჩემოდნით გაიტანეს.

ბრატისლავის პოლიციის დეპარტამენტის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ბრალდებულები არიან 53 წლის აკაკი პ. და 46 წლის ნიკო ვ.

ვრცელდება დანაშაულის ამსახველი ვიდეოც, სადაც ჩანს, თუ როგორ შედიან მძარცველები მუსიკოსის სახლში და როგორ ტოვებენ ნაძარცვი ნივთებით ტერიტორიას.

გერმანიაში ქართველი დააკავეს

გერმანიაში, ქალაქ ესენში ქურდობის მცდელობისთვის 45 წლის ქართველი დააკავეს. გერმანიის პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადების თანახმად, ქართველი, რომელიც ბინაში შეღწევას ცდილობდა, ბინის მეპატრონემ შენიშნა.

მისი დანახვისას კაცი გაიქცა და რამდენიმეწუთიანი დევნის შემდეგ, ის პოლიციამ დააკავა. დაკავებისას ქართველს ყალბი საბუთები აღმოაჩნდა.

გარდა ამისა, მისი ჩხრეკისას ამოიღეს ძარცვისთვის საჭირო იარაღები. დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

არადეკლარირებული ძვირფასეულობა ბათუმიდან ვერ გაიტანეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ბათუმის აეროპორტი" დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის უკანონო გატანის 2 ფაქტი აღკვეთეს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილი ხელბარგის საავიაციო უსაფრთხოების კონტროლის (შემოწმების) გავლისას, სამგზავრო ჩანთაში ოქროსა და ვერცხლის ზოდები აღმოაჩინეს. აღნიშნულ პირთა იდენტიფიცირების შემდგომ, კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მიზნით, საავიაციო უშიშროების წარმომადგენლებმა, სამართალდარღვევის შესახებ, მყისიერად მიაწოდეს ინფორმაცია საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რის შედეგადაც, საბაჟო კონტროლის პროცედურების ფარგლებში, უფლებამოსილი მებაჟე-ოფიცრების მიერ, გამოვლენილი იქნა საერთო ჯამში – 133 125,24 ლარის ღირებულების ოქროსა და ვერცხლის ზოდები, ასევე შენადნობის სახით დამზადებული ოქროს ფირფიტები (ოქროს საერთო წონა 560,78 გრამი, ხოლო ვერცხლის – 6 230 გრამი). საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ხსოვნა

იამზე მეშველაშვილი

ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ქალაქს გამოაკლდა შესანიშნავი ქალბატონი **იამზე მეშველაშვილი.**

დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა 1966 წელს, შემდგომ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. სწავლაში ყველასგან გამორჩეული იყო. ასევე დაჯილდოებული გახლდათ მუსიკალური ნიჭით, ერთი სიამოვნება იყო, როდესაც და-ძმა მეშველაშვილები ქართულ ჰანგებს ააჟღერებდნენ!

მუდამ მორიდებული, ყოველთვის გაწონასწორებული, მეგობრული და მოსიყვარულე ადამიანად დაგვამახსოვრა თავი, გადაყოლილი იყო ძმისშვილებსა და მეგობრებზე.

მუშაობდა „ინტურისტის" სისტემაში, საიდანაც გადაიყვანეს თბილისის აეროპორტში „ინტურისტის" განყოფილების ხელმძღვანელად და გევრს ახსოვს მისი სტუმართმოყვარეობისა და სუბორდინაციის, კომუნიკაბელურობის უნარი. აქ ათეულ წელზე მეტი იმუშავა, შემდგომ წლებში იღვაწა კომერციულ სტრუქტურებში თავისი სპეციალობით.

ქალბატონმა იამზემ ძალიან დაგვწყვიტა გული სულეთში წასვლით, თუმცა ულმობელმა და უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა და ახლახან განერიდა წუთისოფელს.

ღმერთმა აცხონოს იამზე მეშველაშვილი.

თბილისის 24-ე საშუალო სკოლის 1966 X პირველი კლასის კურსდამთავრებულები.

სანთელი

სერგო, მარინა და ვახტანგ

არზიანები ოჯახებით იუწყებიან მამის



ედუარდ ძუკუს ძე არზიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ხუთშაბათს და პარასკევს 17:00 საათიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, სტივეს ქუჩა 4, მე-15 სართული.

გამოსვენება შაბათს, 27 ივლისს, 14:00 საათზე, საბურთალოს კერძო სასაფლაოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიიდან (უნივერსიტეტის ქუჩაზე).

რამინ ქეცბაია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, უახლოესი მეგობარი, ღირსეული ადამიანი

ედუარდ არზიანი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა – **ქ. ბათუმში, შპს „ტერმინალი 1"-ის 7 000 მ³ ტევადობის (130 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა და საზღვაო სატვირთო მისადგომის მშენებლობა-ექსპლუატაცია) პროექტი**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 29 აგვისტო, 15:00 საათი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა N25).**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 17 ივლისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა – **შპს „კოდორის" 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი 2"-ის რეკონსტრუქციის (N8-N16 ანძებს შორის ახალი მონაკვეთის გაყვანა) პროექტი**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 4 სექტემბერი, 12:00 საათი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის: სარაჯიშვილის ქ. N1გ).**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 17 ივლისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

მილოცვა

გრიგოლ (გრიშა) დომენტის ძე ონიანი იუბილარია – 88



ჩემს ძველ მეგობარს გ-ნ გრიშა ონიანს, სულითა და ხორცით ფოლადის კაცს, დიდი იოსებ სტალინის გენიის ჭეშმარიტ დამფასებელს და თაყვანისმცემელს, კაცობისა და ერთგულების სიმბოლოს, ცნობილ მკვლევარს, მეცნიერს, სვანეთის გუმბერაზი მთების საამაყო შვილს, იმედისა და თანადგომის უნარით დაჯილდოებულ მამულიშვილს, ჩემი ოჯახის პატივისმცემელს ვულოცავ 88 წლის იუბილეს, თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად, ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს!

პატივისცემით
თენგიზ ძავთარაძე

ლეგენდარული რაინჰოლდ მესნერი მესტიას სტუმრობს

რაინჰოლდ მესნერი საქართველოში ჩამოვიდა. ლეგენდარული მთამსვლელი მესტიას სტუმროობს.

ცნობილი ალპინისტი, მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალს ესწრება. 25 ივლისს, ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მის მასტერკლასს დაესწრონ.

რაინჰოლდ მესნერს დაპყრობილი აქვს დედამიწის თოთხმეტივე რვაათასმეტრიანი მწვერვალი, გადაკვეთა ანტარქტიდა, გრენლანდია, ტიბეტის, გობისა და თაკლა მაკანის უდაბნოები.

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი ვენეციის კინოფესტივალზე

ვენეციის 81-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე დეა კულუმბეგაშვილის ფილმის – „აპრილის“ მსოფლიო პრემიერა გაიმართება.

ქართველი რეჟისორის ფილმი ვენეციის კინოფესტივალის მთავარ საპრიზო კონკურსში მოხვდა, სადაც ის მთავარი პრიზისთვის – „ოქროს ლომისთვის“ (**Leone d'Oro**) იბრძოლებს.

ფილმი ქართულ-ფრანგულ-იტალიური ერთობლივი ნამუშევარია. ქართულ მხარეს წარმოადგენს კინოკომპანია „დამოუკიდებელი კინოპროექტი“ (**Independent Film Project**) და პროდიუსერი არჩილ გელოვანი.

ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიოში უძველესი და კანისა და ბერლინის ფესტივალებთან ერთად ერთ-ერთი პრესტიჟული ღონისძიებაა. აღსანიშნავია, რომ „აპრილთან“ ერთად საპრიზო ფილმების ჩამონათვალში მოხვდა პედრო ალმადოვარის, ტოდ ფილიპის, ვალტერ სალესის, ლუკა გუადანინოსა და სხვა მსოფლიოში ცნობილი რეჟისორების ახალი ფილმები.

ეროვნული კინოცენტრი ულოცავს დეა კულუმბეგაშვილს, არჩილ გელოვანსა და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ წარმატებას...

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7242; ევრო - 2.9579;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5118;
100 რუბლი - 3.1313; თურქული ლირა - 0.0827;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6012;
1000 სომხური დრამი - 7.0277.

რაც კარგები ხართ, კავსაძეები, ნოზაძეები, ქუთათელაძეები ხართ!..

„ტელეიმედის“ ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული პროექტის „ვინ ვინ არის“ მესამე სეზონი წინამორბედთა მსგავსად დაუვიწყარ სანახაობად იქცა და უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებებთან ერთად ზაფხული გაგვილამაზა.

რამდენიმეთვიანი მარათონი ზეემოციური ფინალით დაგვირგვინდა, რომელშიც კვანძი ისევე მოულოდნელად გაიხსნა, როგორც წინა ეპიზოდებში, თუმცა ბრიტანული ჩანაფიქრის მიზანიც ხომ ეს გახლავთ.

მართალია, დებულების თანახმად, ამჯერად არჩევანს მხოლოდ მაყურებელი აკეთებდა და ჟიურის წევრებს – **ნიკოლოზ წულუკიძეს, მანიკა ასათიანს, ანრი ჯოხაძეს, ნანიკო ხაზარაძესა** და **ოთარ ტატიშვილს** მხოლოდ სიმბოლურად უწევდათ უშუალო ფუნქციის შესრულება, მაგრამ სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ექსცენტრიკულ წამყვანთან **რუსკა მაყაშვილთან** კამპანიაში მართლაც რომ მისზე შესრულებული მუსიკალური სპექტაკლი დაიდგა.

რაც შეეხება გამარჯვებულს, სიმბოლურია, რომ ესაა სამაგალითო ხელოვანთა დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი **ირაკლი კავსაძე** („ჩელო“) ისევე, როგორც მესამე პრიზიორი **ნატალია ქუთათელაძე** („შანდალი“), ვიცე-ჩემპიონი კი პროფესიონალი „ქუჩის ბიჭი“ **ირაკლი ნოზაძე** („პანდა“) გახდა.

ისღა დაგვრჩენია, მადლიერება გამოვხატოთ ამ პროექტის ორგანიზატორთა და სპონსორთა მიმართ.

გაგრძელება აუცილებლად იქნება!

სულიერება

ივერონელი ქართველები

25 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა ათონის მთაზე მოღვაწეთა სავანის დამაარსებელთ – ღირს იოანე (ღირსი ეფთვიმეს მამა) და გაბრიელ ათონელებს.

ცნობილია, რომ იოანემ ქრისტეს სიყვარულის გამო დატოვა ამქვეყნიური დიდება, პატივი, ოჯახი და ფარულად მიაშურა ლავრას დიდებულთა ოთხთა ეკლესიათა. შემდგომში მან თავისი ძე, ყრმა ექვთიმეც წაიყვანა ათონის მთაზე.

საგულისხმოა ისიც, რომ სულ მალე ლავრას ბევრმა ქართველმა მიაშურა და იოანე იძულებული გახდა, საკუთრივ ქართველებისთვის აეშენებინა ეკლესია ოთხი მახარებლის სახელზე.

ივერიელებმა სენაკებიც ააგეს საცხოვრებლად...

გაბრიელ ქართველმა სასწაული მოახდინა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. მან ზღვიდან ნაპირზე გამოაბრძანა ღვთისმშობლის ხატი. იმ ადგილას სადაც ხატი დაასვენეს, მაკურნებელმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღესაც აგრილებს სიცხისგან დაღლილ ბერებს და მლოცველებს.

...დღეს ათონის ივერთა მონასტერში არის ივერიის ღვთისმშობლის ხატი და დიდი ხატი ივერიონის დამაარსებელი ქართველებისა; იქვეა ქართველთა საძვალეც, იოანე-თორნიკეს ჯაჭვის პერანგი და უამრავი ქართული ხელნაწერი.

გიული ლიპარტია



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.
დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 ივლისს